

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი

№132 (1158) 23 - 24 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი



საქართველოს
პრემიერ-მინისტრმა
მთავრობის
სამწლიანი
მუშაობა
შეაჯამა

გვ. 2

ეკა ბესელია ყველა ბრალდებას პასუხობს



დიახ, კიდევ ერთი სია იქნება, ოღონდ იმ ადამიანების, ვისაც სასამართლოში ვუჩივლებ! ვუჩივლებ ელისო კილაძეს, ალექო ელისაშვილი კი მხოლოდ სამოქალაქო დავით ვერ შემოიფარგლება, რადგან გამოძიებას უკვე ჩვენება მისცა, რომლის შინაარსიც არ ვიცი. ამბობს, რომ გვარებიც დაასახელა, მაგრამ თუ დადგინდა, რომ გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები, რომ პასუხი აგოს!

გვ. 3

„ჭორიკანა კასთა ჯობი ორი ქალის წინააღმდეგ დაირაზმა და მათ კასები ჰქვიათ თუ არა სერტოდ, ეგეც საკითხავია“

1 232 კომუნიკაციები და 9 188 შეხვედრა – კომუნიკაციების განვითარების სააგენტოს ორწლიანი შედეგი

რა სახედმნიფო პროგრამები უწყობს ხელს კოოპერაციების განვითარებას

გორგონია
აგრიკის სავაჭრო
პალატის სავაჭრო
წევრი გახდა

„ორი პირიონება დააქავეს, მაგრამ ჩვენი თხოვნით, ორივე ხელწერილით გაუშვეს!“



ვინ არის ბიზნესმენი გურამ კვიციანი და რატომ დაესხა თავს დევან ბუჯაშვილს აეროპორტში

გვ. 4



თამარ სანიკიძე: „2 წელიწადში ასეთი შედეგი არც ერთ ქვეყანას არ უჩვენებია“

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლების მინისტრთან



გვ. 5

ირაკლი ღარიბაშვილი: „თავდაუზოგავად ვპრომოვთ, ვიყობთ ისეთი ხელისუფლება, როგორც ჩვენი ხალხი იმსახურებს!“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სამხდლიანი მუშაობა შეაჯამა

ბათო ჯაფარიძე

21 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სამხდლიანი ანგარიშის წარდგენის დღის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით ანგარიშზე საუბრით დაიწყო და განაცხადა: „დღეს ჩვენი შრომის პირველი ისტორიული შედეგი სახეზეა — ევროპა ხმამაღლა ცნობს ჩვენს წარმატებებს და ფართოდ გვიხსნის საზღვრებს. ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ისტორიულ მიღწევას. 2012 წლიდან, საქართველომ აირჩია განვითარების არსებითად ახალი გეზი — თანამედროვე ევროპული ტიპის, კანონის უზენაესობის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის, მშვიდობის, ადამიანის უფლებათა დაცვობის, ყველასთვის თანასწორი შესაძლებლობების ქვეყნის შექმნა. ამ მანდატით მოვედით ხელისუფლებაში და თავდაუზოგავად ვპრომოვთ იმისთვის, რომ ვიყოთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს.“

პრემიერმა კონკრეტულ სფეროებში მიღწეული შედეგები შეაჯამა და დეტალურად მიმოიხილა ის, რაც სამი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში გაკეთდა. მანამდე კი ისაუბრა ადამიანზე, როგორც დღევანდელი ხელისუფლების ფასეულობათა სისტემის ცენტრზე: „ჩვენი ფასეულობათა სისტემის ცენტრი არის ადამიანი. მისი კეთილდღეობა, მისი უფლებები და თავისუფლებები. მშვიდობიანი გარემო მისთვის. განვითარების პირობები თითოეული მოქალაქისთვის. არა ცალკეულთა ფუფუნება, არამედ ყველა მოქალაქის კეთილდღეობა და დაცვობა. სწორედ ამ ფასეულობებმა განაპირობა ხელისუფლების პირველი მონაპოვარი — თავისუფლება და სტაბილურობა ქვეყანაში. შეწყდა პოლიტიკური ნიშნით დევნა და დისკრიმინაცია, ადამიანები გათავისუფლდნენ შიმშილსა და დეპორტირებისგან პოლიტიკა; შექმნილია უმთავრესი წინაპირობა ბიზნესის, ეკონომიკის განვითარებისთვის — ბიზნესს აღარ აშანტაჟებენ, არ მოითხოვენ მისგან პოლიტიკურ ლოიალობას; უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება, ხელისუფლების ჩაურევლობა მედიაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა; საარჩევნო, თვითმმართველობის, შრომის კოდექსის, სხვა კანონთა ცვლილებებით მომზადდა საფუძველი ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად; ჩატარდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ციკლი, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაციას; ძლიერდება სახელმწიფო ინსტიტუტები; მმართველობის სისტემა გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული გახდა.“

ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებით გამოყო განათლებისა და ჯანდაცვის სფეროები და ისაუბრა იმ ადამიანებზე, ვისაც საქართველოს მოქალაქეებისა და მათი შვილების ჯანმრთელობასა და განათლებაზე ზრუნვა ანდო სახელმწიფომ და აღნიშნა, რომ მასწავლებლის საბაზო ხელფასი 65%-ით გაიზარდა, კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლისას ჯანდაცვის ხარჯები 1 მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენდა, 2016 წელს კი ის 3 მილიარდს გადააჭარბებს. მთავრობის მეთაურის შეფასებით, „ჯანდაცვის სისტემის არსებითი გარდაქმნით მედიცინა ბიზნესიდან — საზოგადოებრივ სიკეთედ იქცა.“

დღეს ყველა მოქალაქის ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ზრუნავს. ამ რეფორმას არა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტები, არამედ საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს. საყოველთაო ჯანდაცვის გარდა, გაიზარდა სახელმწიფო დაფინანსება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისთვის, რამაც საგრძნობლად შეამცირა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 1 233 000-ზე მეტი შემთხვევა გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების 408 000-ზე მეტი შემთხვევა 182 ათასზე მეტი გეგმური ოპერაცია 6 ათასზე მეტი კარდიოქირურგიული შემთხვევა, 113 ათასზე მეტი ფიზიოლოგიური მშობიარობა და საკეისრო კვეთა, 76 ათასზე მეტი ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია სოფლებში, სადაც

არასოდეს ჰყოლიათ ექიმი და სასწრაფო, დღეს სასწრაფო დახმარების მანქანები დგას. ყველა მუნიციპალიტეტში მუშაობს ამბულატორიები. შარშან, 83 ამბულატორია გაეხსენით. გაეზარდა სოფლის მედპერსონალის ხელფასი. ეს ფული ხმარდება მალალმთიანი რეგიონების კლინიკების გამოსყიდვას, სოფლის ამბულატორიების მშენებლობასა და აღჭურვას.“

პრემიერ-მინისტრი შეეხო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას, რომელიც საქართველოს აქცევს მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ქვეყნად, სადაც მოსახლეობა სრულად გათავისუფლდება ამ სენისგან. მისი თქმით, პირველ ეტაპზე პროგრამაში 6 000-ზე მეტი პაციენტი ჩაერთო, კურსი 1720-მა პაციენტმა დაასრულა, მათგან 90%-ზე მეტმა დაამარცხა ჰეპატიტის ვირუსი და, წინასწარი გათვლით, პროგრამა 200 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს. მთავრობის მეთაურის განმარტებით, ჯანდაცვის სისტემის სრულყოფის შემდგომი ეტაპია პირველადი ჯანდაცვის რეფორმა, რომელზეც მთავრობა ჯანდაცვის გლობალურ ალიანსთან და მის ხელმძღვანელ ბერნარ კუშნერთან ერთად მუშაობს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მიღწევების მიუხედავად, ზოგიერთი ძვირადღირებული სამედიცინო ოპერაციის სრულად დაფინანსება სახელმწიფო სახსრებით ჯერაც ვერ ხერხდება და სწორედ ამ მიზანს ემსახურება სოლიდარობის ფონდი, რომელიც, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2014 წელს შეიქმნა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ფონდმა უკვე სიმსივნით დაავადებული 182 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა და მადლობა გადაუხადა ყველა შემომწირველს, ვისაც ამ კეთილშობილურ საქმეში წვლილი შეაქვს.

როგორც ყოველთვის, კვლავ აქტიურია პენსიების თემა. პრემიერის ინფორმაციით, ჯამში, პენსიის ზრდისთვის ბიუჯეტიდან 1 მილიარდ 600 მილიონი ლარი გამოიყოფა: „ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლიდან ესაა 80-ლარიანი მატება. ცხადია, ეს საკმარისი არ არის იმ ხალხის დასაფასებლად, რომლებიც ერთგულად ემსახურნენ ქვეყანას, მაგრამ ეს არის ის, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს დღეს შეუძლია. საკითხის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად ინტენსიურად ვმუშაობთ პენსიის დაგროვებითი სისტემის დასაწესებლად. მალალმთიანი რეგიონებისთვის სოციალური და ეკონომიკური შეღავათები წესდება. პენსია 216 ლარამდე იზრდება; კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე ოჯახის წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100-ლარს მიიღებს, ხოლო მესამე და შემდეგ ბავშვზე 200-ლარიან დახმარებას ორი წლის განმავლობაში; ხელფასის სახით მიღებული 6 ათას ლარამდე შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან; 12 მუნიციპალიტეტში დამატებითი შეღავათიანი პირობები გავრცელდება — ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება მიეცემა, შექმნას სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები; მთიანი რეგიონების საწარმოები ქონებისა და მოგების გადასახადებისგან თავისუფლდებიან 10 წლით;“

დასასრული მე-6 გვერდზე

პერსონალი

„მომავალი წლიდან რუსეთთან მარტივი მიმოსვლა გეგმავთ“



სტრის მოადგილესთან, გრიგორი კარასინთან შეხვედრებზე არ განიხილება. „სამი წელია ამ კითხვას მისვამთ და ვპასუხობთ. ახლაც ვიტყვი, რომ არ დავსმულა აფხაზეთის რკინიგზის საკითხი და არც განიხილება“, — განაცხადა აბაშიძემ.

პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ამ ეტაპზე უცნობია, რუსეთი სავიზო რეჟიმს სრულად გააუქმებს თუ გაამარტივებს საქართველოსთან. აბაშიძის თქმით, დამატებითი ინფორმაცია ორი თვის განმავლობაში გახდება ცნობილი.

„მომავალი წლიდან მარტივი მიმოსვლა გეგმავთ რუსეთთან. მიუხედავად ურთულესი პრობლემებისა, ჩვენ შევძელით შეხების წერტილების პოვნა. რუსეთი გეგმავს სავიზო რეჟიმის მოხსნას, ან გამარტივებას. დაახლოებით ერთ-ორ თვეში მეტი კონკრეტული გეგმვა. სანაცლოდ არაფერი მოგვეთხოვება. ჩვენ რაც შეგვეძლო, წლებია გამარტივებულია ჩვენი მხრიდან“, — აცხადებს ზურაბ აბაშიძე. რაც შეეხება აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენის საკითხს, აბაშიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს თემა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, გრიგორი კარასინთან შეხვედრებზე არ განიხილება.

„სამი წელია ამ კითხვას მისვამთ და ვპასუხობთ. ახლაც ვიტყვი, რომ არ დავსმულა აფხაზეთის რკინიგზის საკითხი და არც განიხილება“, — განაცხადა აბაშიძემ.

„პია“

მიხეილ სააკაშვილს 5-წლიანი პატიმრობა ემუქრება

ოდესის მოქალაქემ ოლქის გუბერნატორს სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოიგო. მიხეილ სააკაშვილს სასამართლომ, ფულადი ჯარიმის სახით, 680 გრივნის გადახდა დააკისრა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, გუბერნატორს აღმასრულებელი დოკუმენტისა და სახელმწიფო აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის უგულვებელყოფაში ადანაშაულებენ.

გამოცემის ცნობით, თუ გუბერნატორის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება შესრულებული არ იქნება, აღმასრულებელი მას ფულად ჯარიმას გაუორმაგებს და სამართალდამცავ სტრუქტურებს, ოლქის გუბერნატორს სასამართლოს ოფიციალური განაჩენის დაუმორჩილებლობის გამო, გაფრთხილების მიცემის მოთხოვნით მიმართავს. მაქსიმალური სასჯელი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული, 5-წლიანი პატიმრობაა.

მომჩივნის ინფორმაციით, მან სამხარეო ადმინისტრაციას მიმართა და გუბერნატორთან შეხვედრა მოითხოვა, რისი უფლებაც მას კანონით აქვს მინიჭებული, რაზეც სამხარეო ადმინისტრაციაში უარი განუცხადეს. მოქალაქემ ჩათვალა, რომ ამით მისი მოქალაქეობრივი უფლებები დაირღვა და საოლქო ადმინისტრაციულ სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომელმაც გუბერნატორს მოქალაქესთან შეხვედრა, იძულებითი წესით დააკისრა.



„პია“



ქვეყნის პოლიტიკა

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

ალეკო ელისაშვილმა, შეწყალებისა და პოლიტპატიმრების სიების ორკვირიანი სკანდალის შემდეგ, ორი გვარი დაასახელა – ბესელია და კობახიძე და განაცხადა: „მე არ ვაპირებ ჩვენების გასაჯაროებას. ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს არაჯანსაღი, დაჟინებული და კატეგორიული ინტერესი ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ კოკაინის საქმეზე მსჯავრდებული პირების შეწყალებასთან დაკავშირებით. მათ არ აინტერესებდათ სხვა მსჯავრდებულები. მირეკავდნენ, მესიჯებს მიგზავნიდნენ“. ელისაშვილი მოითხოვს ეკა ბესელიას საპროკურორო საბჭოს წევრობა, გიორგი გოგაძეს მთავარი პროკურორის მოადგილის, ხლო მანანა კობახიძე ვიცე-სპიკერის უფლებამოსილება შეუჩერდეს, თუმცა არ ასახელებს იმ მაღალჩინოსანს ვინაობას, ვინც მას ინფორმაცია მიანოდა, დასახელებული პირობების ფინანსური დაინტერესების შესახებ! ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ქაპ ბესელია, რომელიც საქართველოში ახლახან დაბრუნდა, თავის მხრივ იმ პირების სიას ადგენს, ვის წინააღმდეგაც სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. „ვერსიას“ კი ექსკლუზიურ საგაზეთო ინტერვიუს აძლევს და ყველა ბრალდებას პასუხობს.

— პროკურატურამ გამოძიება ალექო ელისაშვილის იმ ბრალდებისა და ცილისწამების გამო დაიწყო, რომელიც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობის დროინდელი პერიოდს ეხება. ბუნებრივია, გამოძიებას ეს ინფორმაცია უნდა გადაეცემებინა. ნამდვილად არეულ-დარეულია, სად სიაა, სად — შეწყალება, პოლიტპატიმრები, ვის რა ედება ბრალად და საერთოდ რა შუაშია ე.წ. კოკაინის საქმე. ისე არ-დაირია ყველაფერი, საზოგადოება კი არა, ხანდახან მე ვერ ვხვდები, ვინ რაზე ლაპარაკობს. არ ვიცი, ელისაშვილი ასე შეგნებულად მოიქცა თუ თავადაც დაიბნა, მაგრამ ფაქტია, რეალურად რა ხდება, მოგვიანებით გამოჩნდება. კარგია ის, რომ გამოძიება ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ამასობაში ჩემთვისაც ახალ-ახალი ინფორმაციები ხდება ცნობილი შეწყალების კომისიის შესახებ. მაგალითად, როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილებები კომისიაში და ა.შ. მივიღე ინფორმაცია, რომ თურმე, რამდენიმე პირი შეინყაღეს, ეს ადამიანები უკვე ციხის დასატოვებლად ემზადებოდნენ და ამ დროს უკან შეაბრუნეს, ალარ გიშვებოთ, რაც დაუშვებელია.

— ეს ვის დროს მოხდა, ან რატომ?

— სანდო წყაროსგან მაქვს ინფორმაცია. როგორც კი ხელთ მექნება დოკუმენტი, კონკრეტულად ვისაუბრებ, რადგან არ მინდა, ელისაშვილს დავემსგავსო და ვაკეთო უსაგნო განცხადებები მტკიცებულების გარეშე. რაც შეეხება პოლიტპატიმრების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მთელმა პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც შემდეგ კანონად იქცა. მას დაედო ვეტო, ვეტო დაძლეულ იქნა და დადგენილებას ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ მოახერხა. ამიტომაც როცა ვილაც თავს უფლებას აძლევს და ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილებების მიღების დროს პოლიტიკოსები ფულს იღებდნენ, ეს ყველას შეურაცხყოფა და არა კონკრეტული დეპუტატის.

— თუმცა ალექო ელისაშვილი მხოლოდ ბესელიასა და კობახიძეზე საუბრობს, ეს მიზანმიმართული პროცესია კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ, თუ უბრალოდ, წინასწარჩენილ ახალი პოლიტგადაღება იგეგმება?

— მგონი, ორივე ერთად. წინასწარჩენილი კამპანია უკვე დაწყებულია და ესეც ამის ნაწილია. თუმცა, ნების თუ უნებლიედ, ალექო ელისაშვილი ბარაკების იმ მხარეს დგას, სადაც არის ირმა ნადირაშვილი, რომელიც მართლაც კორუფციანია ჩაფლული, უსახური გივი თარგამაძე, ბატონი ქორიძე და მას მხარს უჭერს პრეზიდენტიც. ხოლო მთავარი ძალა, ვის ინტერესებშიც ეს სკანდალი ყველაზე მეტად შედიოდა, ნაციონალური მოძრაობაა და ვისაც იმის გათვლა არ შეუძლია, თავისი ქმედებითი ვის თამაშს თამაშობს, არც პოლიტიკაში ესაქმება რამე. ვეც მიინტერესებს პასუხი კითხვაზე რატომ აგორდა ეს სკანდალი ახლა და არა 2-3 წლის წინ, თუნდაც მაშინ, როცა ელისაშვილი შეწყალების კომისიაში იყო. თუმცა ამაზე სხვა პასუხი არ არსებობს გარდა იმისა, რომ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ვილაცები საკუთარი ნიშის დაკავებას ცდილობენ, თუნდაც სიცრუითა და ცილისწამებით. მიუხედავად იმისა, რომ ელისაშვილს გვარები არ დაუსახელებია, ეს შეტევა პერსონალურიცაა. ყველაფერი სწორედ მან დაიწყო და აჰყვა ელისო კილაძე, მან გაახმაურა გვარები, თუმცა არ ვიცი, რა ინფორმაცია მიანოდა გამოძიებას. რეაქცია მხოლოდ ერთ განცხადებაზე მოქონდა — პოლიტპატიმართა სიაზე პოლიტიკოსები ფულს აკეთებდნენო. საპარლამენტო უმრავლესობაში ერთი ნაწილი ამას სერიოზულად არ აღიქვამს, მეორე ნაწილი კი, ვინც მიიჩნევს, რომ ელისაშვილმა მთელი იმ პროცესის სერიოზული შეურაცხყოფა მიაყენა, თემას გამოეხმაურა. მე ეს თემა არ გვაგებარე და არც არასოდეს გვაგებარებ.

— იქნებ, ეს დამოკიდებულება სწორედ ბიძინა ივანიშვილის რჩევის დამსახურებაა, რომელიც მანანა კობახიძეს მისცა — ბრალდებებს არ აჰყვებ და არ უპასუხო. ეს სწორად იგეგმება?

— ყველა ბრალდებას ნამდვილად არ გამოეხმაურები. ზოგ შემთხვევაში, საქმე ფსიქიკურ ანომალიასთან გვაქვს. მაგალითად, როცა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში „კაპიუშონიანი“, თავდაბურული, ანონიმური პირი ალაპარაკეს და ოპონენტებს იმ დონეზე გაუჭირდათ, რომ ასეთი პერსონაჟები შემოიყვანეს. მესმის ივანიშვილის პოზიცია, რადგან ის პერსონალური შეტევის ობიექტი არაერთხელ ყოფილა და ამიტომაც ამბობს, არ ღირს ამაზე ნერვიულობა და დროის ხარჯვა. აბა, მაშინ ივანიშვილმა რა თქვას, ვინც ბევრის მაგივრად ამდენი დარტყმა და შეურაცხყოფა მიიღო და არასდროს დამალულა?!

- ახლა ბიძინა ივანიშვილი დამალული არ არის?
- არა, რას ჰქვია დამალულია. იქ არის, სადაც უნდა იყოს და მოქმედებს. როცა საჭიროა, გამოდის და განმარტებებსაც აკეთებს.
- თქვენ თუ შეხვდით ამ მოვლენების დროს?
- მე საქართველოში არ ვიყავი, მას მანანა კობახიძე ესაუბრა, ორივეს სახელით და მე მისი პოზიცია ვიცი ისევე, როგორც პრემიერის.

— და რა არის დღეს პრემიერის პოზიცია, რომელმაც ამ სიების შედგენის და მისი შს მინისტრობის დროს თქვა, ერთი-ორი პირი ნამდვილად არ უნდა მოხვედრილიყო ამ სიაში?

— მერე რა. პრემიერსაც და მეც ერთნაირი, პრინციპული პოზიცია გვქონდა ზოგადად პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე. რაც შეეხება მის მაშინდელ განცხადებას, მაშინ შს მინისტრობის ახალი დანიშნული იყო და ყველა ის კადრი, ვინც სხვადასხვა სპეცსამსახურებში იყვნენ, ისევე იქმუშაობდა. ალბათ, მათ მიერ დაპატიმრებული ზოგიერთი ადამიანის ამ სიაში ხილვა გააპროტესტეს და პრემიერმა პროფესიული სოლიდარობა გამოავლინა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს „ოცნების“ მთელი გუნდის გადაწყვეტილება იყო. დღეს მე და მანანა კობახიძესაც ერთი პოზიცია გვაქვს — სასამართლოში ვაპირებთ სარჩელის შეტანას.

— კონკრეტულად ვის უნდა უჩივლოთ?

— ახლა ვალაგებ ამ სიას. დიხს, კიდევ ერთი სია იქნება, ოღონდ იმ ადამიანების, ვისაც სასამართლოში ვუჩივლებ! ვუჩივლებ ელისო კილაძეს, ალექო ელისაშვილი კი მხოლოდ სამოქალაქო დავით ვერ შემოიფარგლება, რადგან გამოძიებას უკვე ჩვენება მისცა, რომლის შინაარსიც არ ვიცი. ამბობს, რომ გვარებიც დასახელა, მაგრამ თუ დადგინდა, რომ გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცა, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები, რომ პასუხი ავიღ!

— ეს განცხადება განცხადებისთვის თუ ომში მართლა შედის?

— ეს იქნება პრეცედენტი ჩემგან! არ მჩვევია საქმეების შუაგზაზე მიტოვება. ასეთი პრეცედენტი უკვე იყო, ზუსტად ორი დღის წინ, როცა ცილისწამებულური კამპანია ბოლომდე მივიყვანე. თვეების განმავლობაში ველოდე ეთიკის ქარტიის გადაწყვეტილებას „ფრენიუსის“ წინააღმდეგ, რომელმაც ჩემს შვილზე ცილისწამებულური მასალა გავრცელა. ზუსტად ორი დღის წინ კი ქარტიამ დაადგინა, რომ ეს მასალა დარღვევებით გაკეთდა. იურისტი ვარ, მთელი ცხოვრება საადოკატო საქმიანობით ვიყავი დაკავებული, იმის უნარიც მაქვს და გამოცდილება, რომ ასეთი პრეცედენტი მოხდეს და საზოგადოებას მდარდ, უხარისხო და ჭორბეზე დაყრდნობილი ინფორმაცია არ მიეწოდებოდეს.

— თუმცა ზოგადის გარდა, თქვენს წინააღმდეგ ძალიან კონკრეტული ბრალდებები ისმის, მათ შორის, ცნობილი პერსონების მხრიდან. მაგალითად, ლევან მამალაძე, რომელიც თუ არ ვცდები, პოლიტდევნილების სიაში მოხვედრის კანდიდატი იყო და შემდეგ აღარ მოხვდა, ამბობს, რომ დაურეკა თქვენმა ფოთელმა ახლობელმა და სიაში მოსახვედრად ფულის გადახდა შესთავაზა. თუ დანარჩენებზე ამბობთ, რომ ნაციონალების თამაშს თამაშობენ, ლევან მამალაძე ეს შემთხვევა ხომ არ არის?

— არ ვიცი, ვნახოთ, ვინ რა შემთხვევაა. გარდა იმისა, რას ამბობენ, იმასაც უნდა შევხედოთ, ამას ვინ ამბობს და რა მტკიცებულება აქვს. ლევან მამალაძე 10-ჯერ მაინც ჩაერთო ტელევიზიებში, მაგრამ არავინ ჰკითხა, ამ განცხადებებს რით ამტკიცებდა. პირველ რიგში, მან ის უნდა ახსნას, აქამდე რატომ არასდროს უთქვამს, რომ ბესელიას გარემოცვიდან ვილაც უკავშირდებოდა და ფულის გადახდაზე მინიშნებებს აძლევდა? მეორე — თქვას, ვინ დაუკავშირდა. როცა არ ამბობ, ვინ დაგეგმავდა, როდის და არც ფაქტები არაქვს, როგორ გადავამოწმო, მართლაც ამბობს თუ არა? იქნებ, მართალი ვინმეც ისარგებლა და ჩემი სახელით რაღაც უთხრა, ამას ხომ ვერ გამოვრიცხავთ? თეორიულად დაფუძვით, რომ ვილაცამ გადაწყვიტა, ხელები აფათუროს ამ პროცესში — მაშინ უნდა მითხრას, ვინაა ეს ადამიანი და მე თავად გადავამოწმებ! მსმენია, რომ ჩემი სახელით, ჩემი ყოფილი კოლეგები, ადოკატები ვილაცებთან მისულან. ასეთი შემთხვევები უკვე მქონია და ყველას შესაბამისი პასუხიც გავეცე. ამიტომ უნდა ვიცოდე, ვინმემ ხომ არ ისარგებლა ჩემი სახელით ფოთიდან, სამტრედიიდან თუ სენაკიდან! მამალაძესთან ცხოვრებაში არასდროს არანაირი კონტაქტი არ მქონია, არც ტელეფონით, არც ესემესით და სხვათა შორის, მამალაძე იმ პოლიტდევნილთა სიაში რომ მოხვედრილიყო, ვერასდროს ვერცერთი ადამიანი ვერ გამომართლებდა თავს, რომ მის იქ მოხვედრაში ფული არ იყო ალბათ. რაც შეეხება ვინმე ცოტნე ბაკურიას, ჯერ იმით დავიწყებ, რომ ნახევარი დღე მარტო იმას ვიხსენებდი, ვინაა ეს ადამიანი.

— „აღორძინების“ ყოფილი სახე, რომელიც ამბობს, რომ მას პირადად დაურეკეთ და პოლიტსტატუსის სანაცვლოდ, ფულის ფონდში გადახდა შესთავაზეთ.

— აი ეს კაცი გამოდის და პირდაპირ ეთერში იტყუება. მე მას ამერიკაში დაურეკე, და რა უთხრა? სულ რომ ასე გავგიჟებულყავი და ხალხთან რეკვა დამენყო, ამერიკაში რატომ დაურეკავდი ვილაც კაცს, თინა ხიდაშელის ნათესავს? ან საერთოდ, ვინმესთან რატომ უნდა დამერეკა?

— მოკლედ, სიების შედგენის სქემა ასე გამოიყურება — რეკავდით ხალხთან და სთავაზობდით, პოლიტპატიმრების სტატუსის მისაღებად და სიაში მოსახვედრად ფული გადაეხდათ. კითხვის ნიშანი დასვა კახა კუკავამაც, რომელმაც თქვა, რომ მას სულ 2 პოლიტპატიმარი ჰყავდა, კიდევ რამდენიმეს რეკომენდაცია გაუწია, მაგრამ საბოლოოდ, მის პარტიას სხვა უცნობი ხალხი მიენერა. ამიტომ უპასუხეთ ყველა ამ ბრალდებას — რეალურად, სად და როგორ შედგა პოლიტპატიმართა სია?

— ყველაფერს გასაგებად ავხსნი: პირველი ე.წ. პოლიტპატიმრების სია 2007 წელს შეიქმნა, გაერთიანებული ოპოზიციის დროს. სწორედ კუკავამ და კონსერვატორებმა აიღეს თავის თავზე ამის ორგანიზება და ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობოთა კოალიციას ოფისს უთმობდნენ. ამ პროცესში მეც ვიყავი ჩართული და ეს სია მუდმივად იცვლებოდა, რადგან ვილაცებს იჭერდნენ, ვილაც თავისუფლებოდა. როგორც კი ხელისუფლებაში მოვედით, სწორედ პოლიტპატიმრების გათავისუფლების საკითხი დადგა და ამას ვილაც უნდა ჩადგომოდა სათავეში. ხელისუფლების მოსვლიდან 2 კვირაში, ეს პროცესი დაიწყო და პირველი სია, თავისი დანართითა და დოკუმენტებით, სწორედ არასამთავრობოებმა გადმომიგზავნეს, სადაც 40-ზე მეტი პოლიტპატიმარი იყო. შემდეგ ამ სიას, ბუნებრივია, სხვა პარტიების მიერ წარმოდგენილი გვარებიც დაემატა. შედგა ორდენიანი კომისია და პირველ დონეზე, საქმეებს ჯერ 17 არასამთავრობო პოლიტიკოსების გარეშე განიხილავდა და შემდეგ ჩემს კომიტეტს უგზავნიდა. ასე რომ, აქ კონკრეტულად კუკავას პარტია არაფერ შუაშია. ყველაზე მეტი, 41 პოლიტპატიმარი კი ნინო ბურჯანაძის პარტიას ჰყავდა.

— ახლა გუნდურობას რაც შეეხება, უმრავლესობის, კომიტეტის, თუნდაც თავმჯდომარის და ამ საქმეში აქტიურად ჩართული სხვა დეპუტატების სოლიდარობა, საერთო განცხადება და კონკრეტული განმარტებები ამ დღეებში თითქმის არ მოგვისმენია. თუ ამბობთ, რომ მთავარი დარტყმა „ოცნებამ“ ნაციონალებს ამ სიით მიაყენა, ახლა სადა გუნდი, როცა ნაციონალები სიას აყენებენ დარტყმას?

— ამის საპასუხო განცხადება სწორედ ბიუროს სხდომაზე გავაკეთე. როცა დავით უსუფაშვილი უმცირესობის დეპუტატ ლევან ბეჟაშვილზე თავდასხმას გამოეხმაურა და ეს ფაქტი დაგმო, ვთქვი, რომ სოლიდარობა კარგია, მაგრამ პარლამენტს თავიდანვე მკვეთრი და პრინციპული პოზიცია უნდა ჰქონოდა ამ მიზანმიმართული შეტევის დროს. როცა პარლამენტის მიერ მიღებულ საერთო დოკუმენტზე ასეთი ცილისწამებულური თავდასხმა მიდის, ამაზე მკვეთრი განცხადებები თავიდანვე უნდა გაკეთებულიყო. თუმცა ახლა დავიანებებულია და საჭიროც აღარ არის. ახლა სჯობს, პროკურატურის დასკვნას დაველოდოთ. მკვეთრი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა დავით უსუფაშვილსაც და მხოლოდ ნუგზარ ბოჭორიშვილზე გაკეთებული საპასუხო განცხადებით არ უნდა შემოფარგლოდყო.

— მოდოდ, გავხსნათ ფრჩხილი — გაცრეცელდა ინფორმაცია, რომ „ოცნებამ“ შიდა ბრძანება გაავრცელა, ამ თემაზე კომენტარები არ უნდა გაკეთდეს და ამ სკანდალში არ ჩავერიოთო. მართლაც, თქვენზე კომიტეტის წევრებიდან ნაწილმა არ ისურვა საუბარი, ნაწილი, საერთოდ მედიას ემალებოდა. თქვენ თუ გავით მსგავსი ინფორმაცია და როგორ ფიქრობთ, საკუთარი გუნდის დუმილი გარკვეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ხომ არ ნიშნავს არჩევნების წინ?

— აქ ორი თემაა. ერთია შეწყალების კომისიის საკითხი, რომელიც კონკრეტული ისტორიაა და შესაძლოა, კომენტარს ამაზე ვერ აკეთებენ, რადგან ფიქრობენ, რომ ეს მათ არ ეხება. რაც შეეხება მეორე თემას, პოლიტპატიმრებზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა პარლამენტის უკომპეტენტო ყველა წევრზე ნაწილდება, ვინც ამ სიას ხმა მისცა. სია ერთ და ორ ადამიანს არ დაუწერია და იმ სიაში ჩემი არც მეგობარია ვინმე, არც ნათესავი. უბრალოდ, მე ავიღე ჩემს თავზე ამ პროცესის გაძლიერება და მიუხედავ იმისა, რომ ამდენი უნამუსოა და საზიზღრობა მოვისმინე, ერთი ნაშთიც არ ვნახობ, რაც გავაკეთეთ. თუნდაც სამუდამოპატიმრობამისჯილი დევრიმპისის გვარი ამ სიის ყველაზე დიდი ღირსებაა.

— ამ დროს, დევრიმპაე ნარკოდანაშაულისთვის იხილდა პატიმრობას, რამაც კითხვები გააჩნია.

— ადამიანს, რომელსაც ნარკოდანაშაული დააბრალეს, უვადო პატიმრობა მიუსაჯეს და მარტო ეს კაცი მიღირს იმად, რომ პოლიტპატიმრების გათავისუფლების აქტი არასდროს ვინაო. პარლამენტის დუმილი ჩემთვის მართლა გასაოცარი იყო, ცალკეული გამოჩინალების გარდა. მე მათგან განსხვავებული პოზიცია მაქვს და მიმანია, რომ როცა მედიამ ეს თემა აიტაცა, პარლამენტის მხრიდან მეტი რეაგირება იყო საჭირო.

დასასრული მე-4 გვერდზე

„ორი პიროვნება დააკავეს, მაგრამ ჩემი თხოვნით, ორივე ხელნაწილით გაუშვეს!“



ვინ არის ბიზნესმენი გურამ კვიციანი და რაფომ დაესხა თავს დევან ბეჟაშვილს აეროპორტში?



მანია მიხეილაძე
593-51-90-12

21 დეკემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, კვიციანი დაბრუნებულ დეპუტატ ლევან ბეჟაშვილს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცემეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულია ერთი პირი, თუმცა შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ უმცირესობის დეპუტატზე თავდასხმის ფაქტზე, იმავე ღამეს, ერთი პირი დაკითხეს, აღიძრა საქმე და ამჟამად გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით მიმდინარეობს. არც ერთი თავდასხმელი დაკავებული არ არის. „ვერსია“ დეტალების გასარკვევად თავად ლევან ბეჟაშვილს დაუკავშირდა:

— თავს თბილისის აეროპორტში დამესხნენ. კვიციანი-თბილისის რეისით ერთად ვიმგზავრეთ. თვითმფრინავში ჩვენს შორის შელაპარაკება არ ყოფილა. როცა ჩამოვფრინდით და საპასპორტო კონტროლზე შევდიოდით, ესკალატორზე, ზურგში დარტყმა ვიგრძენი. შემოვტრიალდი, ჩემს უკან უცნობი მამაკაცი იდგა და იგინებოდა, ცხადია, პასუხი მეც გავეცი. ეს შეხლა-შემოხლა აეროპორტის ვიდეოკამერებშიც დაფიქსირდა.

— ბატონო ლევან, თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ თავდასხმელმა ბიზნესმენი გურამ კვიციანი დაასახელა და თავს ის დაგესხათ?

— დიახ, ერთად ვიმგზავრეთ. თვითმფრინავში ჩემთან ახლოს ისხდნენ, მაგრამ არავითარი უკმაყოფილება არ შემინიშნავს. საერთოდ არც კი ვიცნობ, ვინ არის გურამ კვიციანი, პირველად ვნახე. თბილისში მგზავრობდა ერთად, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი აქტიურობდა და თავს სწორედ ის ორი დამესხა.

— ვინ არის გურამ კვიციანი და რა ურთიერთობა გაქვთ მასთან, იქნებ ეს ფაქტი თქვენს წარსულ საქმიანობას უკავშირდება, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი იყავით?

— ხომ გითხარით, წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არის. მისი სახელი პირველად გავიგე და არავითარი შეხება არ მქონია მასთან. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საჯარო უწყებების გარდა, კერძო კომპანიებსაც ამონებდა, მაგრამ ეს პიროვნება არ მახსოვს. არც ის ვიცი, თავს რატომ დამესხა, მაგრამ გული არ მწყდება, რადგან ჩემგანაც საკადრისი პასუხი მიიღო. ამაზე საუბარი სასაქონლო და სატრანსპორტო არ ღირს, მაგრამ პასუხი ნამდვილად მიიღო.

— თუ ასეა, თავს მხოლოდ იმიტომ დაგესხნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრი ხართ?

— არ ვიცი. თუმცა კვიციანის პატრულის თანამშრომლებისთვის უთქვამს, ლევან ბეჟაშვილს მისი წარსული პოლიტიკური საქმიანობის გამო გავუსწორდით, მაგრამ კონკრეტულად რას გულისხმობდა, ჩემთვის უცნობია.

— „ვერსიის“ ინფორმაციით, გურამ კვიციანი სამშენებლო კომპანიის „არ დი აი“ ხელმძღვანელია, ეს კომპანია 2008 წელს, კონტროლის პალატის სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდა. აგვისტოს ომის მიუხედავად, თქვენს წარმომადგენელს კვიციანისთვის უთქვამს, ომი არ მაინტერესებს, რემონტი სამ თვეში დაასრულეთ... ვერც ახლა გაიცხადებთ?

— ხომ გითხარით, საერთოდ არ ვიცნობდი, თუმცა კიდევ რომ მეცნო, მაინც არ მოვერიდებოდი, რადგან ეს ჩემი სტილი არ არის! ამ თავდასხმის შემდეგ დავეინტერესე და Google-ს საშუალებით, სხვადასხვა ინფორმაციები მოვიძიე მის შესახებ, სხვათა შორის, ის სტატიებიც ვნახე, სადაც კვიციანი სწორედ იმ ფაქტზე საუბრობს, რაც ახლა მკითხეთ. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლებისგან არც ისე შორს ყოფილა, რადგან მისი კომპანია საკმაოდ ბევრ ტენდერში მონაწილეობდა და იმარჯვებდა კიდევ. ამიტომ გაუგებარია, რატომ აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მასზე ზედმეტად ახორციელებდნენ, როდესაც ტენდერები იმარჯვებდა. 2012 წლის შემდეგ, ალბათ, გადარჩენას ცდილობდა და ამას იმიტომ აცხადებდა. რაც შეეხება კონტროლის პალატას, თავმჯდომარედ აგვისტოს ომამდე ერთი კვირით ადრე დავეინიშნე. შესაბამისად, მიმდინარე ტენდერების დოკუმენტებში არც კი

ჩამიხედავს, რადგან სამსახურში ომის შემდეგ მივედი. რაც მთავარია, ეს პიროვნება საერთოდ არ მინახავს, არც მისი ვინაობა ვიცი და სიმართლე გითხრათ, არც კი მომიკითხავს, რადგან ეს ტენდერი, ანუ კონტროლის პალატის რემონტი ჩემი წინამორბედის დროს დაიწყო. ზოგადად, საკმაოდ პრობლემური ტენდერი იყო, რადგან დროში გაინელა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, სხვადასხვა საჭირო მასალის შეკვეთით არ ჰქონდათ, არადა, ამ სამშენებლო კომპანიის ტენდერით გათვალისწინებული თანხის 70% წინასწარ გადაუხადეს. მართალია, კომპანიამ სატენდერო ვადები დაარღვია, რადგან სამუშაოები გვიან დაასრულა, მაგრამ ამის გამო არავის დაუჯარიმებია. მოკლედ, მთელი რიგი პრობლემები იყო დაკავშირებული ამ ტენდერთან და სიმართლე გითხრათ, არც კი მახსოვდა. იმ პერიოდში, ეს ადამიანი საერთოდ არ გამოჩენილა და როგორც ვიცი, მისი გვარი ფინანსურ დოკუმენტებშიც კი არ ფიგურირებდა. ამ თავდასხმის შემდეგ, გავკვირვებულმა მოვიკითხე, ვინ არის გურამ კვიციანი და რა უნდა-თქო.

— სააგენტოების ინფორმაციით, იმავე ღამეს ორი თავდასხმელი დააკავეს, რასაც შსს ოფიციალურად არ ადასტურებს.

— დიახ, ორი პიროვნება დააკავეს, მაგრამ ჩემი თხოვნით, ორივე მათგანი ხელნაწილით გაუშვეს. ზოგადად, პარლამენტის წევრზე თავდასხმის ფაქტი დასჯადია, თანაც ეს თავხედური თავდასხმა იყო, მაგრამ შსს-ს მაინც ვთხოვე, დაკავებულები ხელნაწილით საფუძველზე გაათავისუფლებინა. თანაც ეს ინციდენტი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ჩვენი ქუთაისელი ბიჭების დაკავება, რომლებიც თავდასხმისთვის კი არა, თავდასხმის მცდელობისთვის დააპატიმრეს და დეპუტატის პიჯაკის დაზიანებისთვის, 70 ლარიც გადაახდევინეს, მაგრამ ამის მიუხედავად, პოლიციის მაინც გაათავისუფლებინე ის პირები, რომლებიც თავს დამესხნენ. დიახ, ეს პოლიტიკური განცხადებაა, მაგრამ მინდა, ეს მთავრობისთვის ერთგვარი ნიშანი იყოს და ჩვენი ბიჭებიც ისევე გაათავისუფლონ, როგორც მე გაათავისუფლებინე თავდასხმელები. თბილისის აეროპორტში ჩემზე თავდასხმა გაცილებით მძიმე იყო და დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავდა, ვიდრე ჩვენი ბიჭების პროტესტი.

— ნამდვილად გურამ კვიციანი დაგესხათ თავს თუ სხვა პირებმა მისი სახელი გამოიყენეს?

— არა, ამ ინციდენტში პირადად გურამ კვიციანი და მისი სიძე, დავით ჭლენტი მონაწილეობდნენ.

— შსს-მ გურამ კვიციანი დააკავა და თქვენი თხოვნით გაათავისუფლა?

— დიახ, ზურგში გურამ კვიციანი დამარტყა. იმდენი ვაუკაცობაც არ იყო, პირდაპირ მოსულიყო, ამის ნაცვლად, ზურგში დამარტყა. როგორც კი მოვეტრიალდი, მაშინვე მიიღო პასუხი კბილებში და საკუთარი სისხლიც დააგემოვნა და თუ საჭირო იქნება, დამატებით პასუხსაც მიიღებს!

ინფორმაცია „ვერსიის“ არქივიდან: ბიზნესმენ გურამ კვიციანის საქმიანობის შესახებ „ვერსიის“ არქივი რამდენიმე სტატიას ინახავს. მოკლე დოსიე კი ასეთია: გურამ კვიციანი საქართველოში 2005 წელს, მოსკოვიდან დაბრუნდა, სამშენებლო კომპანია „არ დი აი“ დააფუძნა და მუშაობა დაიწყო. 2006 წლიდან, სახელმწიფო შეკვეთებს ასრულებდა — მისი კომპანია თავდაცვის სამინისტროს რთულ და სპეციფიკურ ობიექტებს აშენებდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, კომპანია „არ დი აი“ და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის ურთიერთობა დაიძაბა. ბიზნესმენის განცხადებით, პირველი თავდასხმა მაშინდელი კონტროლის პალატის ფასადის მშენებლობის დროს მოხდა. „არ დი აი“ სააკაშვილის მთავრობას მეორედ 2010 წელს დაეჯახა და კომპანიაში პროკურატურა შევიდა. თანამშრომლები პროკურატურაში დაიბარეს და დააპატიმრეს. ბიზნესმენი კი თანამშრომლების გაათავისუფლების სანაცვლოდ, 3 000 000 ლარის გადახდა მოსთხოვეს. 2011 წელს, გურამ კვიციანი ნაციონალურს ვანეთში პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობის გამო დაუპირისპირდა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ბიზნესმენმა გურამ კვიციანი პროკურატურაში სარჩელი შეიტანა... იგი ასევე გახლავთ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ერთ-ერთი მფლობელი, რომელსაც ნაციონალურმა წილი „იძულებითი გააჩუქებინეს“.

თბილისის აეროპორტში მომხდარ ინციდენტსა და ამ ბიზნესკანდალებზე, „ვერსია“ ბიზნესმენ გურამ კვიციანს დაუკავშირდა და ვრცელ ინტერვიუს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ეკა ბესელია ყველა ბრალდებას პასუხობს

მე-3 გვერდიდან

— ნანყენი არ ხართ, ადამიანურად?

— რაც არ მომეწონა, ეს გუნდის შიგნითაც ვთქვი. მე და მანანას მიგვაჩნია, რომ პარლამენტის მხრიდან განსხვავებული სტრატეგია აჯობებდა. ელისაშვილმა ისიც კი თქვა, ბესელიამ რატომ უნდა მიპასუხოს, მასზე ხომ არ ვსაუბრობდით, მაგრამ მე არ მჩვევია დამალვა და პროცესების ჩირგვებიდან ყურება. სამი წელია გუნდის ინტერესებს ვიცავ და არ მჭირდება საპასუხო დაცვა მათგან. უბრალოდ, ეს იყო თავდასხმა გუნდზე და დღეს მე იმიტომ მესხმინა თავს, რომ სხვებს ვიცავ.

— უკვე ისიც აირია, ვინ ვისგან იცავს თავს. წელან მინიშნება გააკეთეთ და ბარკადებსმიღმა მდგომ ნაციონალებთან ელისაშვილი და პრეზიდენტი დაასახელეთ. ეს რას ნიშნავს?

— ყველაზე საინტერესო ისაა, ვისგან იცავდა პრეზიდენტი ელისაშვილს, როცა დაცვით სარგებლობა შესთავაზა?! საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს ქორიკანა კაცთა ჯოგი ორი ქალის წინააღმდეგ დაირაზმა! დიახ, ორ ქალს თავს ესხმოდა ქორიკანა კაცების ჯოგი და მათ კაცები ჰქვიათ თუ არა, ეგეც საკითხავია. რასაც ისინი სჩადიან, ჩემზე ცოტა სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ორი ქალისგან იცავდა პრეზიდენტი ელისაშვილს და ჩვენი შიშით ამბობდა ელისაშვილი, არ ვიცი, მივალ თუ არა სახლამდე ცოცხალი? თავად ელისაშვილის საქციელში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ, როცა პროკურატურაში კონკრეტული საქმის მოსაგვარებლად მივიდა? მაშინ თვითონ აგვიხნას, რატომ მივიდა, რა ინტერესი ჰქონდა. ყველა კოლექტიურად გავგლანძღა, თქვა, პოლიტიკოსები კორუფციაში იყვნენ ჩაფლულები და ვილაც გაჩუმდა, მე კი, სხვებისგან განსხვავებით, არასდროს დავიმიანებე და მიმანია, რომ სწორად ვიქცევი.

— ეს თემა დღემდე რომ ახსოვს მოსახლეობას და ელი-საშვილის ერთმა განცხადებამ ამდენი კითხვა და აჟიოტაჟი გამოიწვია, არ გაფიქრებინებთ, რომ ხალხსაც ჰქონდა რაღაც ეჭვები?

— ეს წინასაარჩევნო ფონზე მოხდა. ამ თემაზე კითხვები მათ აქვთ, ვინც ამ სიაში ვერ მოხვდა. ისინი განაწყენებულნი იქნებიან.

— არიან კიდევ ისინი კითხვა, რატომ არ შედგა მეორე სია, რომელსაც თუნდაც ე.წ. კოკაინის საქმის მთავარი, გმირი ნუგზარ ბოჭორიშვილი ელოდებოდა?

— პოლიტგატიმრების თუ დევნილების მეორე სია იმან გააკეთოს, ვისაც შეუძლია. მე ის გავაკეთე, რაც შეეძლო, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად. რაც შეეხება პატიმრებს, განაწყენებულები, რა თქმა უნდა, იქნებიან და მეც გული მწყდება, რომ მასში ბევრი ადამიანი არ მოხვდა. სია არ იყო ამომწურავი, ყოვლისმომცველი და უნაკლო. მე მქონდა მოცემული ვადა, 1 თვე, ახალ წლამდე პარლამენტს გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ამიტომ 24 საათიდან 25 ვიმუშავე და კომიტეტმა შეძლო ის, რაც შეძლო. მე იმას ვნაბობ, რომ ბევრი საქმე და გვარი იყო, რომელსაც ამ სიას დავამატებდი. მაგალითად, იგივე „კოჭიას“, ემზარ კვიციანს, მამუკა ნიკოლეიშვილს, უბრალოდ, ბევრი რამ ვერ მოვასწარი.

— თუმცა ამ სტატუსის მინიჭებამ პოლიტგატიმრებს არც არაფერი მოუტანა. ისინი ისევ ბრალდებულები არიან და მეტიც, თურმე ნორა კვიციანს ძველი საქმის გამო, შესაძლოა, პენსიაც დაუყადდნენ. როგორც ხალხს ჰქონდებოდათ, ამ პროცესს სამართლებრივი გავრცელება არ ექნება?

— დიახ, ეს არ არის დასასრული. თითოეულ ადამიანს სამართლიან სასამართლოში საქმის გადახედვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს და, პირადად მე, ამ პროცესს აუცილებლად გავაგრძელებ. ვიბრძობ, რომ ამ 205-ე ადამიანის საქმის გადახედვის მექანიზმი შეიქმნას სასამართლოში. ჩემთვის ამ სკანდალით არც ბრძოლა დამთავრებულა და არც არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, მოვლენებსა და ადამიანებს თავის სახელს დავარქმევ იმის მიხედვით, ვინ როგორ მოიქცა კრიტიკულ ვითარებაში.

თამარ სანიკიძის შეფასებით, 2015 წელი, განათლების სამინისტროსთვის უმნიშვნელოვანესი და გამოწვევის წელი იყო. რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა, რა ხარვეზები გამოიკვეთა რეფორმაში, რა პრობლემები დარჩა გადასაჭრელი და რატომ შემცირდა საშობაო არდადეგები? „ვერსიის“ კითხვებს განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე ექსკლუზიურად პასუხობს.

— 2015 ერთგვარი გამოწვევის წელი იყო, რეალურად 2013-14 წლებში დაგეგმილი სიახლეების განხორციელება დაიწყო. წინა წლებში სისტემა სრულად შევადგინეთ და შევიმუშავეთ სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მუშაობას ვაგრძელებთ. სისტემურ ცვლილებებსაც ვგულისხმობ, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, პედაგოგთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის შემუშავება. ამ სისტემაში მოვუქციეთ პედაგოგიური განათლების რეგულაციის საკითხები, უმაღლესი განათლების კომპონენტიდან დაწყებული, მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის და მათი შეფასების კრიტერიუმებით დასრულებული. შეფასების სისტემა, სერტიფიცირებაზე ბევრად ეფექტურია. ამ სისტემაში მოვუქციეთ, სახელფასო პოლიტიკაც, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან, სახელფასო პოლიტიკის დარეგულირების გარეშე, რეფორმის ეფექტურობაზე საუბარიც ზედმეტია.

— ამ ცვლილებით, მასწავლებლებს 600-700-ლარიანი ხელფასი დაახლოებით რა ვადებში ექნებათ?

— თუ პედაგოგის საბაზო ხელფასი 295 ლარი დაგვხვდა, 2016 წლის აპრილში ეს მაჩვენებელი 405 ლარი იქნება. ეს სოლიდური ცვლილებაა, რადგან სწორედ ამგვარად გავდივართ საშუალო 600-700-ლარიან ხელფასზე. რა თქმა უნდა, გააჩნია, მასწავლებლის კატეგორიას, სტაჟს... საბაზო ხელფასი 405 ლარი, საშუალოდ, დაახლოებით 500-550 ლარია. ეს ეხება რეალურად ყველა მასწავლებელს, ვისაც სრული განაკვეთი აქვს. არის კიდევ მასწავლებელთა ყველაზე დიდი ჯგუფი, მაგალითად, მასწავლებელი მაგისტრი, 5 წელზე მეტი საშუალო გამოცდილებით, რომლის საშუალო ხელფასიც, კატეგორიის მიხედვით, 600-700 ლარი იქნება. მეორე ჯგუფია, მეორე საფეხურზე მყოფი მასწავლებლები, რომლებსაც კატეგორიის მიხედვით, დანამატი ეკუთვნით და საბოლოოდ, მაჩვენებელზე, რომელზეც ვსაუბრობთ, გადაიან. გააჩნია, როგორ დავიანგარიშებთ - პედაგოგთა საკმაოდ დიდ რაოდენობას, ნამდვილად ექნებათ ასეთი საშუალო ხელფასი. აქ, უმნიშვნელოვანესია, სკოლის შიდა შეფასება, რომლისთვისაც ვგუფებს ვამზადებთ და რაშიც დღეს აქტიურად არიან ჩართული პედაგოგები.

— მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემუშავებისას რა ხარვეზები გამოიკვეთა?

— ძირითადად, ტექნიკური, რომლებიც ვერ აფერხებს სისტემის განხორციელებას. მაგალითად, სისტემაში რეგისტრაციისას, პედაგოგმა საბუთები დროულად ვერ წარმადგინა, რისთვისაც რეგისტრაციის ვადა გავაგრძელეთ. გაცილებით მეტი დრო დაუთმეთ დაგეგმარება-შეფასება-შემომწმებას, რაშიც ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი. ძირითადად იმ ქვეყნებიდან, სადაც სისტემაში გარკვეული განვითარებაც განიცადა — ესტონეთი, ფინეთი, ბრიტანეთი, ამერიკა... ველოდებით, როგორ შედეგად შეფასების ჯგუფები სკოლებში და როგორ იქნება პილოტირების შედეგი, რომელსაც გამოცდებისა და ეროვნული შეფასების ცენტრი, გარედაკვირვებით ახორციელებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რეალურად, ესაა ყველაზე ახალი ელემენტი. ამ ფონზე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ სისტემის ამუშავება, 2015 წელს, ჩვენი გამოწვევა იყო.

— რამდენად მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით?

— მეცნიერების მიმართულებით არსებული ვითარება დეტალურად ჯერ კიდევ 2013 წლის ბოლოს შევისწავლეთ. რეალურად, წინ იმდენად წინაინათ, რომ საშუალოდ მოგვეცა, განგვესაზღვრა ამ სფეროს განვითარებისთვის, რა საკანონმდებლო ცვლილებების გატარება იყო აუცილებელი. დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა მეცნიერების დაფინანსება, გაიზარდა მეცნიერთა ხელფასიც. დაიწყო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად ინვესტიციის განხორციელება. 2015 წლის ჩათვლით, 40 მილიონი ლარი მიგზარდა, უმაღლესი მასწავლებლების შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღდგენისთვის. პარალელურად, შევიმუშავეთ, მეცნიერების მართვის მექანიზმები, რისთვისაც, საკანონმდებლო ცვლილებებიც განხორციელდა და უკვე გვაქვს კანონი, რომელიც შესაბამის შედეგებზე გავიყვანს. ყველა მიმართულებით განვითარების კენ მივიღივართ, რაც ძალიან კარგია.

— ინფრასტრუქტურული პროექტები სკოლებშიც განხორციელდა. ბევრი სკოლის შენობა დარჩა სარეაბილიტაციო?

— სასკოლო ინფრასტრუქტურამ ძალიან შეგვაფერხა. ეს პრობლემა რომ არ ყოფილიყო, დღეს განათლებაში უკეთესი შედეგები გვექნებოდა. არც ერთ პროექტს და პროგრამას არ აქვს ეფექტი, თუ მათ განსახორციელებლად, შესაბამისი ადგილი არ გვაქვს. ამიტომ, პირველი რიგში, ინფრასტრუქტურის მონესრიგება დაიწყო. დღეს, რამდენიმე ათეული ახალი სკოლა გვაქვს. 1000-ზე მეტს კი, ფუნდამენტური რეაბილიტაცია ჩაუტარდა და იქ, სასწავლო პროცესის წარმართვა, დღეს უკვე შეიძლება. ამ მიმართულებით, სახელმწიფოსთან ერთად, საერთაშორისო პროექტებიც ხორციელდება. მაგალითად, ათასწლეულის გამომწვევის მეორე კომპაქტი, რომლის ფარგლებშიც, ამერიკის მთავრობა, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, 140 მილიონი დოლარის ინვესტიციას დებს. ამ თანხის ნაწილით, 4 წლის განმავლობაში, 100 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. თუ, ინფრასტრუქტურული პროექტები ამ ინტენსივობით გავრცელდა, 3-4 წელიწადში, საქართველოში ეს პრობლემა საერთოდ აღარ იარსებებს. მით უმეტეს, შევიმუშავეთ, სკოლების მოვლა-პატრონობის სტანდარტი, რაც აქამდე არ გვაქონია. ეს გეგმა დაგეგმარდება, რესურსები სკოლის საჭიროების მიხედვით გადანაწილდეს და არ დაუშვავთ, რომელიმე

თამარ სანიკიძე: „2 წელიწადში ასეთი შედეგი არც ერთ ქვეყანას არ უჩვენებია“

ექსკლუზიური ინტერვიუ განათლების მინისტრთან



სკოლაში ინფრასტრუქტურა ჩამოიშალა, მით უმეტეს, ამის საშიშროება, მაღალმთიან რეგიონებში ყოველთვისაა.

— რეგიონების მოსწავლეებს სასკოლო ტრანსპორტი სამინისტრო უზრუნველყოფს. ბევრი სკოლა დარჩენილი, სადაც ტრანსპორტის არარსებობის გამო სასწავლო პროცესი, სეზონურად მაინც ფერხდება?

— დღეს ტრანსპორტი 1500-ზე მეტ სკოლას ემსახურება. იყო სკოლები, სადაც საჭირო იყო ტრანსპორტის დანიშვნა და ეს გავაკეთეთ, მაგრამ არის ერთეული სკოლები, ძირითადად, მაღალმთიან სოფლებში, სადაც სეზონურად მისასვლელი გზის პრობლემა იქმნება. გამოსავალი აქაც მოგვხვდა — ადგილზე მოვხვდებით რეაგირება, თვითმმართველობებთან ერთად გამოვინახეთ ინფრასტრუქტურა, სადაც საგანმანათლებლო პროცესი დროებით წარმართება. ანუ, მოსწავლეები, სწავლას მონყვეტილები არ არიან. სხვა მხრივ, დასწრების პრობლემა, ტრანსპორტის არქონის გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს არ გვაქვს.

— მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური სამსახურის მობილური ჯგუფები, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონებშიც ემსახურებიან ბავშვებს?

— ზოგადად, ამ პროექტის ბენეფიციარები, დღითიდღე იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღება საჭირო იყო. ამ პროექტის დამსახურებაცაა, რომ ძალადობის შემთხვევებში, სკოლებში იკლო. ამ საკითხში, სპეციალისტი აუცილებლად უნდა ჩართულიყო. ამ მიმართულებით, მანდატურების მუდმივი გადამზადება ხდება. მათ შუქშია, ბავშვების ქცევაში, გარკვეული გადაცდომის იდენტიფიცირება. დიან, 2015 წლის სიახლეა ისიც, რომ შექმენით მობილური ჯგუფები. ყველა სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფა რთული აღმოჩნდა, რადგან ზოგ გეოგრაფიულ არეალში, შესაბამისი სპეციალისტის მოძებნა გაჭირდა. საჭიროების შემთხვევაში, მობილური ჯგუფი გადის ადგილზე და თუ აუცილებელია, იქ რამდენიმე დღეც რჩება. ასე რომ, ეს ნამდვილად, სასიამოვნო სიახლეა.

— სიახლე იყო დამატებითი „ბუკებიც“. გაამართლა ახალი ბრენდის კომპიუტერებმა?

— ტექნიკა სწრაფად ვითარდება, ამიტომ, წელს მოსწავლეებს განახლებული პარამეტრების „ბუკები“ შევთავაზეთ. გადახალისდა პროგრამებიც. დაემატა მსოფლიო, მესამე, მეოთხე კლასების პროგრამები. გააქტიურდა ელექტრონული მუშაობაც — 2014 წელს სკოლების ინტერნეტიზაცია დასრულდა. დღეს ყველა სკოლაში ინტერნეტი და ინტრანეტიც მოწყობილია ქსელური საშუალებებისთვის. საინტერესოა ისიც, რომ მეორე კლასელები ჭადრაკის საათებსაც ვთავაზობთ და ეს არჩევითი საგანი, რომელიც ჭადრაკის ფედერაციისათვის შევიმუშავეთ, ელექტრონული პროგრამაა. პედაგოგებიც გადავამზადეთ და ეს ტექნიკაც ამ პროგრამისთვის, შესაფერისია.

— ჭადრაკის საგანზე დაინტერესება არის?

— დიან, დაინტერესება დიდა. დაახლოებით 250 სკოლაში ეს საგანი უკვე შეტანილია. რიგში ბევრი სკოლა დგას. უბრალოდ, იქ ჯერ არ დასრულებულა პედაგოგების გადამზადება.

— 2016-2017 წლებში ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები უნდა შევიდეს. ამ ფონზე, საჭირო გახდება ახალი ნიგნების დაბეჭდვა?

— ეროვნული სასწავლო გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც მუდმივად ვითარდება. არსებულ სასწავლო გეგმაში გარკვეული ხარვეზები არსებობდა. 2014 წლიდან, ნამყვანი ქვეყნების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შედარება მოვახდინეთ და ანალიზი შევიმუშავეთ. მოვიწვიეთ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებიც, რომლებმაც რეკომენდაციებიც დაწერეს. უკვე დასრულებულია 1-6 კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა, წლის ბოლომდე დასრულდება საბაზო საფეხურის რევიზიაც. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა გრიფირების ახალი წესის შემუშავებაც, რადგან წინა წესი, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო იყო. თავის სახელს თუ დავარქმევთ, ეს საქმე პროკურატურაში დევს, იმდენად გაუმართავი იყო სისტემა. კითხვები რომ არ გაჩენილიყო და პროცესი გამჭვირვალედ წარმართულიყო, საჭირო იყო გრიფირების წესის სათანადო დონეზე დამუშავება. სპეციალური კომისია, სადაც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები შედნ, ტექნიკურ პარამეტრებზე, ნიგნის ღირებულებაზე, შრიფტზე, სტანდარტზე, ყველა დეტალზე მუშაობს. წლის ბოლოს, 1-6 კლასების სახელმძღვანელოებზე გამოვაცხადებთ გრიფირებას. ახალი სახელმძღვანელოები სავა-

რაუდოდ, მომდევნო აკადემიური წლის მეორე სემესტრისთვის გვექნება და პილოტირებისთვის გამოვიყენებთ.

— ხშირი ტესტირება-პილოტირება მოსწავლეებზე უარყოფითად არ აისახება?

— ამასაც აქვს თავისი მეთოდი. თუ სიახლეს შეიტან გეგმა-ზომიერად, საჭირო მეთოდოლოგიის დაცვით, მოსწავლეს ზიანი არ მიადგება. ასე ვენერგავთ ყველა სიახლეს და ამიტომაცაა, რომ არც ერთ მათგანს, უარყოფითი შედეგი არ ჰქონია.

— წინასასკოლო მზაობის პროგრამა როგორ მუშაობს?

— ეს პროგრამაც 2015 წლის გამოწვევად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მოვხდინეთ სასკოლო ასაკის ცვლილება და განვხორციელებთ პროგრამა, რათა ბავშვი, პირველ კლასში მისასვლელად, ფსიქოლოგიურად და გონებრივად ციფრულ მზად. მასწავლებლები ალფრთოვანებულები არიან იმით, რაც გაკეთდა. ვფიქრობ, ნამდვილად არ შეეცდით.

— საუბარია ეროვნული გამოცდების ახალ მოდელზეც. საბოლოოდ, რა ცვლილებები განხორციელდება ამ მიმართულებით?

— ამ ცვლილებებს ანალიზი და მოსამზადებელი საშუალებები სჭირდება. ხარისხის ცენტრი მუშაობს უნივერსიტეტების დაფინანსების ალტერნატიულ ვერსიაზე. ჩვენი მიდგომაა, გამოცდების სასკოლო დონეზე ჩამოტანა. უტირებულად რომ ვთქვათ, სკოლის შედეგებით შეძლოს მოსწავლემ, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება. ეს არ არის რესურსების ოპტიმიზაცია, რადგან საგამოცდო ცენტრის შექმნა ყველა სკოლაში მოგვიწევს. ეს ყველაფერი ჯერ დამუშავების პროცესშია და საბოლოოდ, დაიხვეწება.

— სიახლეები თუა პროფესიული განათლების კუთხით?

— რამდენიმე კვირის წინ იტალიაში, ტურინში მიგვიწვიეს, სადაც ევროპული ტრენინგების ფონდმა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ჩაატარა. საბჭოს წევრები ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები და მოწინავე ექსპერტები არიან. საგანგებოდ დაგვაპატიჟეს, რათა საქართველო განვიხილოთ, როგორც პროფესიული განათლების რეფორმის წარმატებული მაგალითი. ამ მიმართულებით, მართლაც ბევრი გაკეთდა. პროფესიული განათლების დაფინანსება 83%-ით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, 200 პროფესიული აქტიური სტანდარტი, დამსაქმებლებთან ერთად შევიმუშავეთ. პროფესიული პროგრამული მოდულების განხორციელებისთვის, ყველა კოლეჯის რეაბილიტაცია მოვახდინეთ, ინფრასტრუქტურა მოვანესრიგეთ და შესაბამისად აღჭურვეთ. ახლა გეგმავთ პროფესიული პედაგოგების მომზადების და უწყვეტი გადამზადების პროგრამის შემუშავებაზე, რომელსაც ასევე ევროკავშირთან ერთად ვახორციელებთ. 2 წელიწადში ასეთი შედეგი არც ერთ ქვეყანას არ უჩვენებია.

— ზოგადად, განათლების ბიუჯეტიც იზრდება. ძირითადად, რა პროექტებს მოხმარდება თანხა?

— სახელმძღვანელოების მომზადებას, პედაგოგთა ხელფასის გაზრდას და ამ სქემის შემდგომ განხორციელებას, მეცნიერების გაზრდილი დაფინანსების შენარჩუნებას, უმაღლესი განათლებაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაციას, ახალი ინსტიტუციური აკრედიტაციის და ახალი სტანდარტებით უნივერსიტეტების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებას... მნიშვნელოვანია, საერთაშორისო-სამეცნიერო თანამშრომლობაც - ვხდებით უმსხვილესი ფონდის, „ჰორიზონტი 20-20“-ის წევრი, საიდანაც სამეცნიერო პროექტებისთვის დაფინანსების მოძიებას შევძლებთ.

— საშობაო არდადეგები წელს 15 იანვარს დასრულდება. რატომ შეამცირეთ დასვენების დღეების რაოდენობა?

— შარშანაც ანალოგიური განლაგება გვექონდა. კარგად მესმის, რომ ყველა ბავშვს უხარია არდადეგები. მეც მიხარია, როცა ბავშვები სახლში არიან, მათთან კომუნიკაცია მეტია, მაგრამ გარკვეული წესების დაცვა გვინევს. ბაღე, რომელიც გავაჩინა, 36 კვირავი იმისთვის გაინერა, რომ ყოფილიყო მონესრიგებული, არაადატვირთული და საჭიროებებზე მორგებული. სწორედ ამ პრინციპმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ზამთრის არდადეგების 2 კვირამდე შემცირება მოგვიწია. თუმცა, ეს საკითხი, ექსპერტებთან და ფსიქოლოგებთან კარგად განვიხილეთ. გავაანალიზეთ, რამდენი დღე სჭირდება ბავშვს, რომ დასვენება მოასწროს. უნდა გავგეთვალისწინებინა, ტრადიციებიც. მიმართა, შესაბამისი თარიღი შევარჩიეთ. ბავშვები მაქსიმალურად შეძლებენ დასვენებას და განახლებული ძალებით გააგრძელებენ სწავლას.



ირაკლი ღარიბაშვილი: „თავდაუზოგავად ვპრომოვთ, ვიყობთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს!“

მე-2 გვერდიდან

10 წლით თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან მენარმე ფიზიკური პირები და მათში მუდმივად მცხოვრები პირებიც; ასევე, მათში მუდმივად მცხოვრებთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სამუდამოდ თავისუფლდება ქონების გადასახადისგან; მასწავლებლებისთვის წესდება სახელფასო დანამატი არანაკლებ 35 პროცენტის ოდენობით და დამატებითი ანაზღაურება ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით; დანესდება დანამატი პენსიონერთა და სოციალური პაკეტის მიმღები პირებისთვის — 20 პროცენტის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში; ექთნებისთვის — ნესდება დანამატი სახელმწიფო პენსიის ოდენობით, ხოლო ექიმებისთვის — პენსიის ორმაგი ოდენობით. პრემიერმა აღნიშნა, რომ თანადგომის საუკეთესო მაგალითია რომა-არხოტის დამაკავშირებელი 28 კმ-იანი გზის მშენებლობა, რომლის ღირებულება 11 მილიონი ლარია“.

ირაკლი ღარიბაშვილს არც დევნილები გამოჩენია, რომელთათვისაც სახელმწიფომ, ბოლო სამ წელიწადში, მართლაც, უპრეცედენტო გადაწყვეტილებები მიიღო, კერძოდ, „სახელმწიფოს მიერ ბინების შესყიდვის პროგრამებით დღეისათვის საცხოვრებელი უზრუნველვყავით 15 ათასამდე დევნილი ოჯახი. დევნილები მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. საკანონმდებლო დონეზე პირველად დარეგულირდა დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხები. დღეს დევნილებს შეუძლიათ, თვითონ აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებიდან. ფოცხო-ენერის მსგავსი ავანტიურები წარსულს ჩაბარდა. მათ ვერავინ ვერსად ველარ გადასახლებს. გაავუქმეთ დევნილებისთვის თბილისში მშენებლობების სრულიად დისკრიმინაციული შეზღუდვა. შედეგად, პირველად, დევნილობის 22 წლის შემდეგ, 1 061 ოჯახი მიიღეს ბინებს ახალ კორპუსებში, მათ შორის 630 ოჯახი — ოლიმპიურ სოფელში“.

მთავრობის მეთაურმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებში განხორციელებული სამუშაოები დაასახელა და აღნიშნა, რომ მხოლოდ მცირეწიანი ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის უპრეცედენტო პროექტის ფარგლებში სახელმწიფო დახმარებას ყოველწლიურად 800 ათასამდე ბენეფიციარი იღებს. სარგებელმა 3 წელიწადში 300 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა; სულ დამუშავდა 600 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი; აგროდაზღვევის პროგრამით, ფერმერებმა 180 მილიონი ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა დააზღვიეს; პრემიერის ინფორმაციით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემულია 25 ათასამდე დაფინანსება; გაცემული თანხა 625 მილიონ ლარად დედა; ათასზე მეტი კრედიტისთვის დოლარში გაცემული სესხების რაოდენობა შეადგენს 155 მილიონ აშშ დოლარს; შექმნილია 1200-ზე მეტი კოოპერატივი; მისივე თქმით, მთავრობამ ასევე დაიწყო ქართული მეურნეობის ტრადიციული დარგების — მეჩაიეობის, მეფუტკრეობის, თხილის, ვაშლის, მანდარინის წარმოების აღორძინება და განვითარება. პრემიერის თქმით, ხელისუფლება აცნობიერებს, რომ „ქართულისთვის ვაზი ეროვნული იდენტობის საძირკველია. მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინებისთვის ავამოქმედეთ სუბსიდიისა და შეღავათიანი სესხების პროგრამა. შედეგად, ამ სამი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით უპრეცედენტო რთველი გვექონდა. მევენახეებმა კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში ჯამში 400 მლნ ლარის შემოსავლები მიიღეს. ეს ბოლო 25 წლის განმავლობაში უპრეცედენტო მაჩვენებელია. ამან სტიმული მისცა ახალი ვენახების გაშენებას. ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობა მომგვებინა საქმედ იქცა“.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სახელმწიფო არ შეინყნარებს რელიგიურ ექსტრემიზმს, ხელს შეუწყობს კონფესიათა შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა რელიგიის საკითხებზე მომუშავე უწყება, სარეკომენდაციო უფლებამოსილების მქონე „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო“.

რალა თქმა უნდა, მოქმედ პრემიერსა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, არც პოლიციელები და ვინცეზია და აღნიშნა: „ძალიან ვწუხვარ, როდესაც მესმის უსამართლო ბრალდებები პოლიციელების მისამართით. მათ აქვთ ძალიან მძიმე შრომა, უძილო ღამეები, მუხლჩაუხრელი მუშაობა ჩვენი ქვეყნის სამსახურში. ჩვენი ვალდებულებაა, ამ ხალხს სათანადოდ მოვეპყროთ და ვუთხრათ მადლობა იმისთვის, რომ ემსახურებიან ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას. საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას“.

ძალოვნების თემა ქვეყნის მეთაურმა სამხედროებზე საუბრით გააგრძელა და განაცხადა, რომ საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედროების ოჯახების ერთჯერადი კომპენსაცია გახდა 100 ათასი ლარი, ხოლო ყოველწლიური კომპენსაცია 500 ლარის ნაცვლად — 1000 ლარი. ყველა ეს ოჯახი უზრუნველყოფილია ბინით. სამართალდამცავებთან ერთად, პრემიერ-მინისტრი პენიტენციურ სისტემასაც შეეხო: „ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოვანყვეთ პენიტენციური დაწესებულებები, დავინყვეთ მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაცია და შესაბამის დაწესებულებებში გადავანაწილებ, გავაუმჯობესეთ მათი უფლებრივი მდგომარეობა და პირობები, ავამოქმედეთ სრულიად ახალი ტიპის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, დავწერეთ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მოხდის ახალი ფორმა — შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით. პირველადი სამედიცინო დახმარება დღეს ხელმისაწვდომია ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში. შედეგად, მკვეთრად შემცირდა ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა, ხოლო C ჰეპატიტის პროგრამის მეშვეობით, 500 მსჯავრდებულთან, 90 პროცენტზე მეტიანად განიკურნა“.

ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული აქცენტი ენერგეტიკაზე გააკეთა და ამ სფეროში განხორციელებული ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ დეტალურად ისაუბრა. მთავრობის მეთაურმა ერთ-ერთ გამოჩენილ მმართველად დაასახელა „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში თურქეთთან ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა, რაც თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში ელექტროენერჯის ექსპორტის შესაძლებლობას გაზრდის. როგორც პრემიერმა აღნიშნა, წელს წარმატებით დასრულდა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველაზე მასშტაბური ენერგეტიკული პროექტი, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის ღირებულებამ 230 მილიონი დოლარი შეადგინა. „მაღე დაიწყება მდინარე ენგურის შენაკადზე ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის წლიური გამომუშავება 1 მილიარდ 200 მლნ კვტ/სთ, ხოლო პროექტის ჯამური ღირებულება — მილიარდი დოლარია; ექსპლოატაციაში შევიდა 10 ჰიდროელექტროსადგური; განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა 104 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო ღირებულება 4 მილიარდ დოლარს აჭარბებს; დაიწყო მუშაობა ქარის სადგურების მშენებლობის პროექტზე; მაჰ-დენიზის პროექტის ფარგლებში 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია საქართველოში განხორციელდება; 2019 წლიდან დაახლოებით მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს საქართველო

შეღავათიან ფასად მიიღებს; მიმდინარეობს მინისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა; მიმდინარე წელს 76 სოფლის განვითარება განხორციელდება; 22 სოფელში, რომლებშიც ხალხი წლების განმავლობაში უშუქოდ ცხოვრობდა, ელექტროენერჯის შეყვანა დაიწყო, მათ შორის არის სოფელი მუცო; ენერგეტიკულ პროექტებზე საურთისას მთავრობის მეთაურმა დეტალური განმარტება გააკეთა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ჰესების მშენებლობაზე კითხვები აქვთ. პრემიერ-მინისტრის თქმით, ჰესების მშენებლობა აუცილებელია, თუმცა არც ერთი პროექტი არ ხორციელდება წინასწარი შესწავლის გარეშე“.

ამასთან ერთად, ბიზნესის წამახალისებელი სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებულია 139 ახალი საწარმო. გაძლიერდა და გაფართოვდა 666 საწარმო. ღარიბაშვილმა განსაკუთრებით გამოყო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, რომელიც ქართული ინდუსტრიისა და წარმოების ხელშეწყობას, ადგილობრივი საწარმოების ამუშავებასა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას ემსახურება. პრემიერის ინფორმაციით, პროგრამას დღეის მდგომარეობით 130 ბენეფიციარი ჰყავს; მოსალოდნელი ინვესტიციები 345 მილიონ ლარს აჭარბებს; ხოლო 3 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში 6 700-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. პრემიერ-მინისტრმა აუდიტორიას გურიის სოფელ ვაკიჯვარში მცხოვრები ექიმი გივი ნინიძის წარმატების ისტორია გააცნო, რომელმაც 2013 წელს შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა და ოჯახური ტრადიციის, მეფუტკრეობის აღორძინება გადაწყვიტა. სახელმწიფოს დახმარებით, 30 000 დოლარის ინვესტიციით, მან ბიზნესი დაიწყო. „ბატონი გივის ისტორია სტიმულის მიცემია სხვებისთვის. სწორედ ასეთი ადამიანები არიან ქვეყნის ხერხემალი, რაზეც უნდა იდგეს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება ინვესტიციებს, პრემიერის თქმით, საქართველოში 2014 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 1 700 000 000 დოლარს გადააჭარბა, რაც 2007 წლის შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია. მისი შეფასებით, ზრდის ტენდენცია ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებისა და წახალისების მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა განაპირობა. ინვესტიციებისთვის მიმზიდველ დარგებად რჩება ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის სწორ კურსზე საერთაშორისო რეიტინგებიც მეტყველებს: „ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს პოზიციები რეიტინგებში გაუმჯობესდა. მათ შორის, Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ 2015 წლის შეფასებით, საქართველომ მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 22-ე პოზიცია დაიკავა „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნის სტატუსით, ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის საქართველო მე-11 ადგილზე დანიშნულა“.

სამწლიანი ანგარიში მთავრობის მეთაურმა ქართველი ხალხსადმი განსაკუთრებული მადლიერებით დაასრულა და განაცხადა: „განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ჩვენი ხალხი — თითოეული მასწავლებელი თუ ჯარისკაცი, ექიმი თუ მალაროელი, მენარმე თუ ხელოვანი, ვეტერანი თუ სტუდენტი — ყველა, ვინც ზოგჯერ ურთულეს პირობებში ყოველდღიური შრომით, სწავლითა თუ ბრძოლით აძლიერებს საკუთარ ოჯახს, საზოგადოებას, ქვეყანას. მხოლოდ ეს ძალისხმევა მიგვაახლოებს ჩვენი წინაპრების ოცნებას, ჩვენს საერთო მიზანს — ერთიან, ძლიერ, განვითარებულ, მშვიდობისა და კეთილდღეობის საქართველოს“.

„ევროპის ბაზარი ჩვენთვის აღვიღად მისაღწევი არაა!“

სოლომონ ჰავდიაშვიდი სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების შექმნის ინიციატივით გამოდის

ნათია აბაშიძე

„თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში ინვესტიციების რაოდენობა არ შემცირებულა, მაგრამ ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა დაიკლო, რამაც ლარის კურსზე მნიშვნელოვნად იმოქმედა“, — აცხადებს „ვერსისთან“ საუბრისას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ ჰავდიაშვილი. მისივე თქმით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები, პრაქტიკულად, არ იდება. ამასთან, პავლიაშვილი დარწმუნებულია, რომ ქართულ ეკონომიკაზე თავის კვალს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაც დატოვებს და ნათქვამის საილუსტრაციოდ იმ პერიოდს იხსენებს, როცა რუსეთს მსოფლიომ ემბარგო დაუწესა, რასაც რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის შემცირება მოჰყვა.

— ვინაიდან ერთიან სივრცეში ვართ და თურქეთი მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური კი არა, ეკონომიკური პარტნიორიცაა, ამიტომ, თუკი თურქეთში მიმდინარე პროცესები გაიწვია, ყველაფერი ეს საქართველოზე გავლენას უდავოდ მოახდენს. სხვათა შორის, როცა რუსეთის მიმართ ემბარგო გამოცხადდა, ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებდა, ჩვენ რა შუაში ვართ, ეს საქართველოზე გავლენას ვერ მოახდენსო, მაგრამ მაშინვე განვაცხადე, რომ ეს მცდარი შეფასება იყო, რადგან, გარდა იმისა, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, რუსეთთან, დაახლოებით, 14-15 პროცენტით სავაჭრო ბრუნვა გვაქვს. თურქეთთან კი ეს რიცხვი 27-28 პროცენტამდეა. ამიტომ, როგორი ძლიერი ქვეყანაც უნდა იყო, ავტონომიურობას ვერ შეძლებს და მეზობლად მიმდინარე პროცესები გავლენას, ცხადია, შენს ეკონომიკაზეც მოახდენს. აკი, ასეც მოხდა: თუკი, მაგალითად, აქამდე რუსეთიდან, ყოველთვიურად, ტრანსფერის სახით, საქართველოში 47-48 მილიონი დოლარი შემოდოდა, ემბარგოს დანესების შემდეგ, 20-22 მილიონზე ჩამოვიდა.

გარდა ამისა, რუსეთთან ღვინის ექსპორტიც შემცირდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია: 2012 წელს რუსეთში, ექსპორტზე, 63-65 მილიონის ღვინო გავიდა, 2013 წელს, ეს ციფრი, დაახლოებით, სამჯერ გაიზარდა და ღვინის ექსპორტმა 190 მილიონი დოლარი შეადგინა. შესაბამისად, ღვინის ექსპორტზე მეორე ადგილზე გავიდით და მოლდოვას 22 მილიონით ჩამოვრჩით.

— 2014 წელს ეს ციფრი შემცირდა?
— დიახ, შემცირდა... საერთოდ, არ ვამბობ, რუსეთის ბაზარი პანაცეა-მეთქი. კარგად ვიცი, რუსეთი არასანდო პარტნიორია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე უარი ვთქვით. კი ბატონო, ალტერნატიული ბაზარი უნდა ვეძებოთ და დივერსიფიკაცია აუცილებელია, მაგრამ ხომ ვხედავთ, რომ 2006 წლის შემდეგ ვერაფერი გავაკეთეთ?!

— რატომ ვერ გავაკეთეთ? ბატონო სოლომონ, მართალია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არცთუ დიდი ხნის წინ მოვანერეთ, რითაც ჩვენთვის ევროპის ბაზარი გაიხსნა, მაგრამ, როგორც ვიცი, მანამდეც შეგვეძლო, რომ ევროპულ ბაზარზე 7 ათასი დოლარის პროდუქტის გავყვითყანა, თუმცა ეს შანსი არ გამოგვიყენებია... უნიათობი ვართ?
— ამას ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ევროპის ბაზარი ჩვენთვის ასე ადვილად მისაღწევი არაა, რადგან იქ სხვა სტანდარტები და

მოთხოვნებია, შესაბამისად, მარტივი არაა, ევროპულ ბაზარზე ქართული ღვინო ან სხვა რომელიმე პროდუქტი შევიდეს.

— ესე იგი, ჩვენი მთავარი პრობლემა ხარისხია, მაგრამ განა, არაა დრო, ამ მიმართულებით „გავიზაროდ“?

— დიახ, უნდა გავიზარდოთ, მაგრამ პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ფოკუსირება, რომელი პროდუქტი უნდა გავიდეს ევროპის ბაზარზე. აუცილებელი არაა, ევროპაში მაინცდამაინც ღვინო გავიტანოთ, შეიძლება, აქცენტი გადავშავეთ ხე-ტყის მასალაზე ან, სულაც, თბილზე გავკეთდეს. დიახ, ძალიან კარგია, ევროპის ნახევარდმლიარდიანი ბაზარი ჩვენთვის ღიაა, მაგრამ იქ შესვლა და დამკვიდრება იმას ნიშნავს, რომ ისეთი სტანდარტები გვქონდეს, როგორსაც ევროპა ითხოვს. ისე, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროპასა და საქართველოში ერთნაირი ხარისხის, მაგალითად, ჩინური პროდუქტია შემოდის, ძალიან ცდება.

— ევროპისთვის დამაკმაყოფილებელ ხარისხს როგორ უნდა მივაღწიოთ?

— როგორ და, ინსტიტუციების გამართვით. ევროკავშირის წევრობა, პირველ რიგში, ვალდებულება ანუ ევროკავშირის რეგულაციებს უნდა დავემორჩილოთ.

— გასაგებია, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან მალე უვიზო მიმოსვლა გვექნება, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმებას პუტინიც გეგმავს. ეს ქართულ ეკონომიკაზე დადებითად აისახება?

— ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მით უმეტეს, საქართველოში რუსეთის მოქალაქეებს უვიზოდ შემოსვლა აქამდეც შეეძლო. ორმხრივი უვიზო მიმოსვლა ეკონომიკურადაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან რუსეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს... საერთოდ, ეკონომიკურ დაახლოებას, შესაძლოა, პოლიტიკური დაახლოებაც მოყვას და რუსეთისგან მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიებზე დაპარაკი სხვა ფორმატში დავიწყეთ.

— პოლიტიკაში გამორიცხული, ცხადია, არაფერია, მაგრამ ბატონო სოლომონ, მტრულად განწყობილ ქვეყანასთან შეიძლება, ეკონომიკური კავშირი გვექონდეს?

— დიახ, შეიძლება და ამის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, რომელიც ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ბომბავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლონდონის ცენტრალური ქუჩები არაბული, ლიბანური თუ ერაყული სამზარეულოებითაა სავსე. ვიმეორებ: რუსეთი სანდო პარტნიორი არაა და, შეიძლება ვითარება კიდევ დაიძაბოს, მაგრამ ეს რაიმე სახის თუნდაც ეკონომიკურ მოლაპარაკებაზე უარის თქმას არ ნიშნავს.

— ისე, ბატონო სოლომონ, მექნება შთაბეჭდილება, რომ ექსპორტზე მხოლოდ ღვინის გატანა შეგვიძლია...
— ამ შემთხვევაში, ღვინის რუსეთის ბაზარზე დაპარაკი...
— კი ბატონო, მაგრამ ისიც ილუზია ხომ არაა, რომ მაგალითად, ქართული ციტრუსით მსოფლიო „დაფუთდება“?

— ციტრუსისთვისაც, პირველ რიგში, რუსული ბაზარია აქტუალური. საერთოდ, ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ე.წ. სამაცივრო მეურნეობები შეიქმნას. ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, რომ სახელმწიფოს ფუნქცია გლეხისთვის, მაგალითად, 20 ლიტრი სანავის გამოყოფა კი არა, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის შექმნა — სამელიორაციო სისტემის, სასაწყობო მეურნეობების მოწესრიგება, დაბალპროცენტული კრედიტების გაცემა და, რაც მთავარია, სადაზღვევო პაკეტში თანამონაწილეობა და კოოპერატივების ამოქმედებაა, რაც ამ ეტაპზე ჯერ კიდევ განუხორციელებელია.

— თუკი კოოპერატივი ჩვენს სოფლის მეურნეობას ვადაარჩენს, სახელმწიფო რატომ არ ქმნის, სურვილი არ აქვს?



— შეიძლება, სურვილი აქვს, მაგრამ ქვედადონეებზე არ იქმნება, რადგან ამას იდეოლოგია სჭირდება — ხალხი უნდა დაარწმუნო, რომ კოოპერატივი ყოფნა უფრო საინტერესოა, ვიდრე გაბნეულად მოქმედება, ანუ საკარმიდამო ნაკვეთში მოყვანილი, მაგალითად, პომიდორი 500 ჰექტარზე მოყვანილი პომიდორს კონკურენციას ვერ გაუწევს. გარდა ამისა, ზღაპარია, რომ გაიძახიან, საქართველო თურქული და ირანული პროდუქტით გაივსო. საერთოდ, ერთიანი ევროპული ოჯახის წევრები ვხდებით და მსგავსი რეგულაციებისგან თავი უნდა შევიკავოთ. მთავარია, კონკურენტუნარიანები მხოლოდ ხარისხით კი არა, ფასითაც გავხდეთ!

— ბატონო სოლომონ, ციტრუსის რთველიც, თქვენი დავიკრებები, ხმაურით ჩაივლის?
— არ მგონია... ისე, კარგია, რომ სახელმწიფომ კახელ გლეხებს, სუბსიდირების სახით, გარკვეული კომპენსაცია მისცა, მაგრამ ეს სახელმწიფოს ფუნქცია არაა. სახელმწიფოს ფუნქცია ლოჯისტიკა, ანუ ახალი ბაზრების ათვისებაა.

— ჰოდა, სახელმწიფომ, მაგალითად, ციტრუსის ბაზრები ათვისა?
— როგორც ვიცი, უკრაინაში ციტრუსის დიდი რაოდენობით გატანა იგეგმება. სხვათა შორის, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 9%. ბოლო მონაცემებით, ათი თვის განმავლობაში, ნოემბრის ჩათვლით, ქვეყანაში ერთი მილიარდის ინვესტიცია შემოსულია, აქედან 55% კომუნიკაციებზე და კავშირგაბმულობაზე მოდის, 16% — საფინანსო სექტორზე, 15% — მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში კი ინვესტიცია საერთოდ არ შემოსულა. სოფლის მეურნეობა არამიმზიდველ სექტორად ითვლება და მიმართა, რომ ინვესტირებს კარგ პაკეტებს ვერ ვთავაზობთ. ამის მიზეზი, ალბათ, მოუქნელობა და ხედვების არარსებობაა. არადა, მთელი ისრაელი ანალოგიური კოოპერატივებით ანუ კიბუცებით აშენდა.

— კოოპერატივები სახელმწიფომ უნდა შექმნას?
— არა, კერძო პირებმა, სახელმწიფომ, უბრალოდ, უნდა ნაახალისოს და ხელი, მაგალითად, სალიზინგო კუთხით შეუწყოს. დიახ, უკეთესია, გლეხი მუშაობდეს, ვიდრე 20 ჰექტრის მესაკუთრე. კოოპერატივების მთავარი იდეა ისაა, რომ მეტეჰექტარზე მოყვანილი პროდუქტი უფრო კონკურენტუნარიანია. სანყენია, რომ სოფლის მეურნეობაში ფულს არც ქართველი ინვესტორები დებენ...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა: როგორც კი სტიქიური უბედურება მოხდება, ყველა ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს და შევლას სთხოვს. ეს როგორ შეიძლება?
— აბა, დაზარალებულმა ხალხმა დახმარება ვის სთხოვს?
— მენარჩეს თავისი ბიზნესი დაზღვეული უნდა ჰქონდეს, ანუ ხელისუფლება მერე კი არ უნდა დაეხმაროს, არამედ, ხელი მანამდე უნდა შეუწყოს, რომ გლეხმა საკუთარი წარმოება დააზღვიოს. დიახ, სადაზღვევო კომპანიებმა ინებონ და გლეხებს დაბალპროცენტული პაკეტები შესთავაზონ. აი, ესაა გასაკეთებელი და არა ის, რომ სახელმწიფომ მოხვინისა თუ მოსავლის აღებისთვის 20-20 ლარი გამოყოს. არ შეიძლება, სოფლის მეურნეობა სახელმწიფო დოტაციაზე იყოს, მაშინ, რაღა ქნას ჯანმრთელობის, განათლებისა თუ თავდაცვის სექტორმა?

— ბატონო სოლომონ, თუკი სოფლის მეურნეობის დოტაციაზე ყოფნა დამლუპველია, ეს ერთმა ხელისუფლებამ მაინც რატომ ვერ შეიგნო?
— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სოფლის მეურნეობაში რეგულაციების შემოღება არ შეიძლება. საქმე ასარჩევად გვაქვს, რომ სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადების სურვილი ვინმემ გამოთქვას და უარი ვუთხრაო? ქართველები ყველა უცხოელი ინვესტორის შემოსვლას მტკიცებულად ვიღებთ, აი, ჩვენი შეიღები მონები იქნებიანო, მაგრამ რომელი სჯობს: მინის მესაკუთრე უცხოელი იყოს და ხალხი მუშაობდეს, თუ მინა ჩვენ გვეკუთვნოდეს და არ ვმუშაობდეთ?

— თუკი უცხოელებზე მინის მიყიდვას დავაკანონებთ, მაშინ შეიძლება, მთელი ჩვენი ტერიტორია ოკუპანტი რუსების ხელში აღმოჩნდეს...
— მოდით, რა, ამას თავი დავანებოთ?! ნებისმიერი ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინტერესი გამო შემოდის, რომ მოგება მიიღოს. გარდა ამისა, ჩვენი მინა ერთ ინვესტორსაც არ აინტერესებს.

— არც რუს ინვესტორებს?
— დიახ, არც რუსებს. სხვათა შორის, ახლა ირანთან გარკვეული რეგულაციები მოიხსენება და კარგი იქნება, თუკი საქართველოს ირანულ ინვესტორებისთვის საინტერესოს გავხდით — ირანი საფინანსო სექტორში, განათლების სისტემასა თუ სოფლის მეურნეობაში უნდა შემოვიშვათ და ამაზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახლავე უნდა იფიქროს, რომ ეს სავიზო რეგულაციები ირანთან გაამარტივოს ან საერთოდ გააუქმოს.

შივნენსი

ჰიპერმარკეტი „გორგია“ ამერიკის საავაჭრო პალატის საავაჭრო წევრი გახდა



ამერიკის საავაჭრო პალატამ თავისი წევრი 200-მდე კომპანია წლის შესაჯამებლად და 2016 წლის გეგმებზე სასაუბროდ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია. აღნიშნულ შეხვედრაში კომპანია ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ მონაწილეობდა. „გორგია“ ამერიკის საავაჭრო პალატის წევრი 2015 წლის ოქტომბერში გახდა და აღნიშნულ შეხვედრაზე საპატიო წევრის ნიშნულს მიიღო. აღნიშნულ შეხვედრაში AmCham-ის ვიცე პრეზიდენტმა Michale Cowgill-მა „გორგია“ სხვა წევრ კომპანიებთან წარადგინა.

„გორგია“ საკმაოდ გამოცდილი, სიახლეებზე ორიენტირებული კომპანიაა. ჩვენ მზად ვართ, საკუთარი გამოცდილება სხვა ორგანიზაციებსაც გავუზიაროთ. მოხარულები ვართ, რომ ამერიკის საავაჭრო პალატის საპატიო წევრი გავხდით“, — აცხადებენ „გორგიაში“.

ამერიკის საავაჭრო პალატა საქართველოში ოფიციალურად 1998 წელს დაარსდა. ამ ეტაპზე პალატა საქართველოდან 200-მდე წარმატებულ კომპანიას აერთიანებს. მისი მიზანი საქართველოს, აშშ-სა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის კომერციული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობაა. საავაჭრო პალატა მხარს უჭერს და წარმოადგენს მისი წევრი ორგანიზაციების საერთო ეკონომიკურ ინტერესებს.

ისევე, როგორც ამერიკის საავაჭრო პალატა, ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ 1998 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე სამშენებლო და სარემონტო სექტორში და ფილიალები საქართველოს სამ ყველაზე დიდ ქალაქში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აქვს. ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს სამშენებლო და სარემონტო მასალებს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს.



„ჯანმრთელი პროდუქტების“ ნიშა ბაზარზე — ბიოლოგიურად სუფთა და უნიტარტო ბოსტნეული

ბოლო წლებში, საქართველოში ახალი სათბურის მეურნეობები მომრავლდა. მიზანი იმპორტის ჩანაცვლებაა, თუმცა დიდ სათბურებში, უმეტესწილად, პროდუქცია ჰიდროპონიკურ სისტემებზე მოჰყავთ — ნიადაგის გარეშე და მთლიანად ხელოვნური კვებით. ჰიდროპონიკური სისტემა პროდუქტის მოყვანას აადვილებს, რადგან ფერმერს მცენარის დაავადებების მართვა და კონტროლი არ უჭირს.

ნიადგაზე პომიდვრის მოყვანა გაცილებით რთულია და შესაბამისად, მისი თვითღირებულება მაღალი, ხოლო რაოდენობა — ნაკლებია. ამ დროს, განსაკუთრებით რთული ნიტრატების რეგულირებაა, რაც უფრო დიდი რისკია მწარმოებლისთვის, რადგან უნიტარტო პომიდორი მალეფუჭებადია. ეს ის მიზეზებია, რის გამოც მწარმოებლების დიდი ნაწილი ამ გზაზე უარს ამბობს, თუმცა გამოწვევებიც არის.

კომპანია „ჯანმრთელი პროდუქტები“ ის ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელმაც ბიოლოგიურად სუფთა და უნიტარტო პომიდვრის მოყვანა დაიწყო. დიდი შრომის შემდეგ კი უნიტარტო პომიდორი ბაზარზე გამოიტანა. „ჯანმრთელი პროდუქტების“ პომიდორი უკვე იყიდება სუპერმარკეტების ქსელებში — „სმარტსა“ და „გუდვილში“.

სასათბურე მეურნეობაში ქართული პროდუქცია ბიოსტანდარტების შესაბამისად ინარჩუნდება. კომპანიის მენეჯმენტი პროდუქტის ხარისხს აკრედიტებულ ლაბორატორიაში ამოწმებს. კვლევებით დადასტურებულია, რომ მასში ნიტრატების დონე უმნიშვნელოა და დასაშვებ ზღვარს 20-ჯერ ჩამორჩება. „ჯანმრთელი პროდუქტების“ დირექტორი, მამუკა გუნია: „ზამთარში, ხარისხიანი და სასარგებლო პროდუქციის შექმნა ძალიან ძნელია. თუმცა თავდაპირველად, ჩვენს მიერ მოყვანილი პროდუქციის მომხმარებლებად, მხოლოდ ჩვენსავე ოჯახებს განვიხილავდით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში სულ უფრო მრავლდება სასათბურე მეურნეობები, ბაზარზე იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების ჭიდილში, პროდუქტის ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა. არადა, ჯანმრთელობისთვის, მთავარი პროდუქციის ხარისხია, რადგან დაავადებათა უმრავლესობა, სწორედ უხარისხიან საკვებისგან მომდინარეობს. ჩვენ ვადავდებით პირველი ნაბიჯი და ბიოსტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიით, უნიტარტო პომიდორი მოვიყვანეთ“.

კომპანიის მიერ სათბურში მოყვანილი პომიდორი „სმარტსა“ და „გუდვილში“ გამოჩნდა



მოგვიანებით, საოჯახო მეურნეობის იდეა შედარებით დიდი წარმოების დაწყების გეგმაში გადაიზარდა. მეურნეობის მშენებლობის პროცესში, დაფინანსების მოსაპოვებლად, კომპანიის დამფუძნებლებმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმართეს და „მელაგათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, „საქართველოს ბანკისგან“ სესხიცი მოიპოვეს. ამ დაფინანსებით, სათბური 2 000 კვ. მეტრზე გააშენეს და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვეს. სხვადასხვა რისკების დასაზღვევად, შესაბამისი ღონისძიებებიც გაატარეს, მათ შორის, ალტერნატიული ენერგომატარებლები, ქარსაცავი ზოლი, წყლის გამწმენდი სისტემები და ა.შ. კომპანიის დირექტორი ამბობს, რომ ეს საბიოლოგიური პროექტია, რომელიც სამომავლოდ გაფართოვდება, სადაც პომიდვრის გარდა, სხვა სახის ბოსტნეულსაც მოიყვანენ.

მამუკა გუნია: „პირველი, საცდელი პარტიის მოყვანა ნელს, გაზაფხულის სეზონზე დაიწყო. იმის გამო, რომ ქიმიურ ნივთიერებებს არ ვიყენებთ, პომიდორი განსაკუთრებით მგრძობიარეა სხვადასხვა მავნებლებისა, თუ დაავადებების მიმართ. ეს საკმაოდ ფრთხილი პროცესია, რადგან მცენარის დაზიანებისა და ქიმიური პრეპარატებით გაჯერების გარეშე, მცენარის ხარისხის შენარჩუნება უნდა შევძლოთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი კომპანია წარმოების მთელ ჯაჭვს მოიცავს — ჩითილის წარმოებიდან, საბოლოო პროდუქტამდე, რის შედეგადაც, დასაბრუნებელი უკვე ეტიკეტირებული და კომპანიის ბრენდირებულ ყუთებში დაფასოებული პომიდორი ხვდება“.

მამუკა გუნია განმარტებით, მათ უარი თქვეს პესტიციდებზე, რადგან ბევრ მათგანს ანოტაციაში უწერია, რომ გამოყენებიდან, 25 დღის განმავლობაში, ნაყოფის ჭამა არ შეიძლება და ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

მამუკა გუნია: „მოგესხენებო, პომიდვრის ნაყოფი დამნივებიდან 3-4 დღეში თუ არ მოიკრეფება, გადამნივდება და დალპება. შესაბამისად, 25 დღე ვერ მოვიცდით და პესტიციდებზე უარი ამიტომაც ვთქვი. მართალია, საქმეს ვირთულებთ, თუმცა ეს გზა მკაცრად ავირჩიეთ. უკვე დავეინთო მუშაობა ბიოსერტიფიკატის მოპოვებისთვის, ეს პროცესი ორწლიანია და საკმაოდ ძვირადღირებულიცაა. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ ხარჯის განწვევა გვიღირს, რადგან ბაზარზე ჩვენი ნიშა, სწორედ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქცია იქნება“.

სასათბურე მეურნეობის პროექტი (ბიზნესგეგმის მომზადება, სათბურის დაპროექტება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, წარმოების პროცესში კონსულტაცია, შეფუთვა) საკონსულტაციო კომპანია „აგრო სოლუშენსის“ დახმარებით განხორციელდა.

„აგრო სოლუშენსის“ დირექტორი, ირაკლი ჩიქავა: „კომპანია „ჯანმრთელი პროდუქტების“ სასათბურე მეურნეობა, ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული პროექტია. ასეთმა კოორდინირებულმა მუშაობამ დაადასტურა, რომ საქართველოში შესაძლებელია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება, შეფუთვა და სრულყოფილი სახით მომხმარებლისთვის მიწოდება“.

პატიმრის ღლიური

პატიმარი №0578

გარკვეული თანხის სანაცვლოდ პოლიტპატიმართა სიაში მოხვედრისა თუ შეწყალების თემა ისევ აქტუალურია. საქმე იქამდეც კი მივიდა, ქვეყნის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ალექო ელისაშვილს პირადი დაცვა შესთავაზა. დაიკითხნენ პარლამენტის წევრები და შეიძლება ითქვას, გამოძიება აქტიურ ფაზაშია. იხდიდა თუ არა ნარკოკარტელის თემაზე ინტერპოლის მიერ ძებნილი ნუგზარ ბოჭორიშვილი 200 ათასს, იყვნენ თუ არა ამ საქმეში გარეული ცნობილი პოლიტიკოსები, სწორედ გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

2010 წელს ჩატარებული გამოძიების ვერსიით, კოლუმბიური კოკაინი საქართველოში ჯართში დამალული ხვდებოდა, შემდეგ თურქეთში გადიოდა, იქიდან კი ევროპისკენ ჰქონდა გზა ხსნილი. ეს იყო ყველაზე გახმაურებული ნარკოტიკების საქმე, თუმცა იყო შედარებით მცირე მასშტაბის ნარკოტრაფიკი, რომელიც სამართალდამცვეებმა აღმოაჩინეს, მაგრამ ამასზე ხმაური არ ამტყვარდა.

რუსთავის №17 ზონაზე ერთი პატიმარი იჯდა, რომელსაც მეტსახელად პილპილას ეძახდნენ. პატიმარი ე.წ. ბარიგების კამერაში იჯდა და შესაბამისად, არანაირი პრივილეგიით არ სარგებლობდა, რაც ნიშნავდა, რომ სწორედ ბარიგობის მუხლით იყო გასამარლებული. პატიმარმა №0578-მა რამდენჯერმე იკითხა, პილპილა რატომ ჰქვიაო და ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „ფოკუსნიკია ეგ დედაფეთქებელი“. ამიტომ, №0578-მა გადაწყვიტა, ყველაფერი თავად გაერკვია და პილპილას კამერაში დაადგა.

„დაჯექი, საქმე მაქვს“, — უთხრა ბარიგას. „ფეხზე ვიდგები, ასე მირჩენია. თან, აქ დგახარ თუ ზიხარ, მნიშვნელობა არ აქვს, „სროკი“ მაინც მიღის“, — გაიკრიჭა პილპილა.

„შენს საქმეზე მინდა გეზაზრო და თუ განცობს, რომ მე ვიჯდე, შენ იდგე, ყველამ გაიგოს, რას გეკითხები და შენ რას მპასუხობ, პრობლემა არ არის“, — ჩუმად თქვა №0578-მა და პილპილაც მაშინვე მოუჯდა გვერდით.

„შენზე ამბობენ ფოკუსნიკიო და რა მოიფიქრე ისეთი, ასე რომ ფიქრობენ? ზოგადად, როგორ დაგიჭირეს, დაიწყე და ბოლოში გადი. რაც მთავარია, არ მომატყუო, თორემ გაციკითხავ და თუ ტყუილს მეტყვი, მაგ ისედაც გასიებულ თავს ისე გაგისიებ, მაიკას ვერ გაიხიდი, გასაგებია?“ — ჰკითხა №0578-მა.

„არა, რა მაქვს დასამალი?! ავეჯი შემომქონდა თურქეთიდან, ვლაკავდი და უკან გამქონდა, სულ ეს იყო“, — თქვა პილპილამ და ნამოდგა.

„დაგდევ, სირო. მასე მოუყევი გარეთ რომ გახვალ სახლში შენიანებს. რა ავეჯი, რა ლაკი, პილპილა რა შუაშია, ნამალი როგორ გაგქონდა?“ — შეუტია №0578-მა.

კოკაინის „ბარიგის“ აღსარება

როგორ გაჰქონდა თურქეთში ნარკოტიკი „ფოკუსნიკ პილპილას“



„თურქეთიდან ავეჯი მოდიოდა, მე იმ ავეჯს წამლით ვავსებდი, ვლაკავდი და უკან ვუშვებდი“, — პილპილა საუბრის ხასიათზე ამკარად არ იყო.

„ბიჭო, შენ მე პროკურორი ან შენი თესლი გამომძიებელი ხომ არ გგონივარ, ისტორია მომიყევი-მეთქი“, — იფეთქა №0578-მა და პილპილას ერთი სილაც შეაჭამა.

ბარიგამ მტკივნეულ ლოყაზე მოისვა ხელი, თანასაკნელებს გახედა, რომლებმაც თავი დახარეს, აქაოდა ვერაფრით დაგეხმარებოდა და ჩურჩულით დაიწყო.

„ჩვეულებრივი ავეჯი შემომქონდა თურქეთიდან. თურქეთში არის აპარატი, რომელსაც შეუძლია დიქტოს ისეთი ნაპრალი გაუკეთოს, ვიზუალურად არ დაზიანდეს. საქართველოში ასეთი ინსტრუმენტები არ გვქონდა. ჩამოტანილ ავეჯს წამლით ვტენიდი, პილპილაში არეული ლაკით ვღებავდი და უკან ვაგზავნიდი. მეტი მართლა არაფერი“, — თქვა პილპილამ.

„მოიცა, პილპილაში არეული ლაკით რატომ?“ — დაინტერესდა №0578.

„იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ლაკს აქვს მძაფრი სუნი. პილპილი იმიტომ, რომ მისი სუნი ძაღლს ყნოსვას მთლიანად აკარგვინებს და კოკაინი კი არა, ხორციც რომ იყოს დამალული, იმასაც ვერ იპოვის. ამიტომ ამბობენ ჩემზე ფოკუსნიკიო“, — გაიღიმა პილპილა.

„და როგორ დაინვი?“

„სულელურად. როცა ავეჯს ტვირთავდნენ, გადმოუვარდათ ამწედა. მართალია, შეფუთული იყო, მაგრამ თურქული მხარის წარმომადგენელმა დაინახა, რომ გადმოვარდა და თქვა, აქვე გავხსნათ, დაზიანებული რომ იყოს, ქართულმა მხარემ უნდა აანაზღაუროს, ჩვენ არ მოგვედავონო. გახსნეს და გატყვილი იყო ერთ-ერთი მხარე და კოკაინი დაბლა ეყარა. მაშინვე პოლიციას გამოუძახეს. იმათ კიდე, ვითომც არაფერი, აანყობინეს ხელოსანს, გაუზავნეს იქ თურქებს. მერე, როცა

ახალი პარტია წამოვიდა, გაჩხრიკეს და ჩემამდე მოუშვეს. მე იგივე გავაკეთე, ანუ ამით გაიგეს, ნამალი საიდან გადიოდა. იმ რეისზე დამიჭირეს და კი მომცეს 30 წელი“, — თავი დახარა პილპილამ.

„ყველაზე საინტერესო — ამდენ კოკაინს სად შოულობდი საქართველოში?“ — თვალები მოჭურტა №0578-მა.

„პოლიციასაც ყველაზე მეტად ეგ აინტერესებდა. კარგად თუ დაძებნი, საქართველოში კოკაინის შოვნა პრობლემა არ არის. იქეთ ცნობილი სახეები, აქეთ წვრილ-წვრილი ბარიგები, ხელს თუ მალე დაუტყვი, იაფად იძლევიან. მე კიდევ სულ ქეშად ვიხდიდი და მაძლევდნენ. ახლაც რომ გავიდე, 203 კილოს ერთ საათში მოვავროვებ. ზოგს კარგი აქვს, ზოგს არეული და ცუდი, მაგრამ ერთმანეთში რომ გადაურევ, ჯამში კარგი გამოდის. თურქეთში ის ავეჯი იშლებოდა და კოკაინი უკვე დაფასოებული გადიოდა. ვის რად უნდოდა ევროპაში თურქული ავეჯი, თანაც ჩემი გალაკული... მოკლედ, აწყობილი საქმე ჩავგივარდა ერთი დებილი მემანქანის გამო“, — თავი ჩალუნა პილპილამ.

„თურქული მხარეც დაჭერილია?“ — იკითხა №0578-მა

„ისინიც დაიჭირეს, მაგრამ ასი ათასის სანაცვლოდ გაუშვეს. მე ასს კი არა, მილიონს გადავიხდიდი, მაგრამ „სროკე“ მაინც მოვდიოდი, სროკის გარეშე არ მიშვებდნენ. ამიტომ, ცოტას დავიციდი, 3-4 წელი ვიჯდედი და ჩემი საქმე რომ მიავიწყებდათ, ამ მილიონს ისეთ ადამიანს მივცემ, ვინც აქედან გამაძვრენს“, — ჩაფიქრებით თქვა პილპილამ.

„და ვის მისცემ, იცო უკვე?“ — დაინტერესდა №0578.

„არა, ჯერ არა, მაგრამ პატიმრები ხომ ჩალიჩობენ ხოლმე და შევხედავ, ვინ რანაირად გავა, ვინ რამდენ სროკს გაიტანს და იმის მიხედვით ვიმოქმედებ“, — თქვა პილპილამ.

2013 წელს პილპილა ჯერ კიდევ ციხეში იყო და თავის 30 წელს პატიოსნად იხდიდა.

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

1 232 კოოპერატივი და მათში გაერთიანებული 9 188 მეპაიე — ეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორწლიანი მუშაობის შედეგია. 1 232 კოოპერატივი საქართველოს მასშტაბით შეიქმნა და მთლიანობაში, სოფლის მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს. ახლა უკვე დღის წესრიგში ამ კოოპერატივების გამსხვილება-გაერთიანების, ანუ ე.წ. მეორე დონის კოოპერატივების ჩამოყალიბების საკითხი დგას. თუმცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში შექმნილი თხილის სანარმო, მეორე დონის კოოპერატივის საუკეთესო მაგალითია. კონკრეტულად რომელი სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს კოოპერატივების მხარდაჭერას და როგორ ეხმარება სახელმწიფო არა მარტო კოოპერატივების, არამედ მათში გაერთიანებული მეპაიეების განვითარებას? „ვერსიას“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დირექტორი, გიორგი მიხეილაძე ესაუბრება.

მხარდაჭერის პროგრამაში რეგისტრაცია მეფუტკრე კოოპერატივებისათვის 30 ნომბერს დასრულდა. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია შესაძლებელი იყო დისტანციურად, ჩვენი სააგენტოს ვებ-გვერდის საშუალებით. პროგრამით გათვალისწინებული და მოთხოვნილი დოკუმენტების გარდა, კოოპერატივებს პროგრამაში რეგისტრაციისას უნდა მიეთითებინათ მათთვის სასურველი სკის სახეობა — ხის, რუტის ან/და დადანის და პენოპოლისტიროლი. კოოპერატივებს, მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტიფიკაციის მოთხოვნა შეეძლოთ, მაგრამ არაუმეტეს 100 სკისა. სახელმწიფო პროგრამის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხის, ასევე მათი რაოდენობის ზრდა, მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წარმომადგენელი თაფლი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში უფასოდ შემოწმდება. პროგრამაში მონაწილე კოოპერატივები, თაფლის რეგლამენტის დანერგვასთან დაკავშირებით, ტექნიკურ დახმარებასაც მიიღებენ.

— მეფუტკრეობის განვითარების გარდა, სოფლის მეურ-

ნეობის განვითარების პროგრამის შედეგად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-ჩამოწმება და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს. ამ ტრენინგებს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგები უძღვევოდნენ. ჩატარდა სასწავლო სემინარი „ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ჩინური მხარის — შპს „ჭუნანის“ სოფლის მეურნეობის ჯგუფის მიერ იყო ორგანიზებული და 12 დღის განმავლობაში, ბაზალეთის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობდა. სემინარში კოოპერატივების 35 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, რძის მწარმოებელმა ათმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, თეთრინყაროს, წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებიდან, ახალციხეში, წნისის რძის ქარხანა დაათვალიერეს. ვიზიტის ფარგლებში, კოოპერატივების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, უშუალოდ გაცნობოდნენ თანამედროვე მეთოდოლოგიებით მომუშავე სანარმოებში რძის პროდუქტების წარმოების პროცესს.

1 232 კოოპერატივი და 9 188 მეპაიე — კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორწლიანი შედეგი

რა სახელმწიფო პროგრამები უწყობს ხელს კოოპერატივების განვითარებას



— ბატონო გიორგი, დღევანდელი მონაცემებით, სულ რამდენი კოოპერატივია რეგისტრირებული და დაინყო თუ არა მათი გამსხვილების პროცესი?

— დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 1 232 კოოპერატივს, სადაც გაერთიანებულია 9 188 მეპაიე. ყველაზე მეტი, 244 კოოპერატივი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შეიქმნა. რაც შეეხება კოოპერატივების გამსხვილების პროცესს, შედარებისთვის გეტყვით, რომ 2014 წლის მარტში, სასოფლო-სამეურნეო სტატუსი კოოპერატივს პირველად მიენიჭა. როგორც გითხარით, 1 200-ზე მეტი კოოპერატივია შექმნილი, არსებობს ხუთი, მეორე დონის კოოპერატივი, სადაც ჯამურად, 22 კოოპერატივია გაერთიანებული. მეორე დონის კოოპერატივები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშია შექმნილი, მათ შორის, გურიაში — ჩაის მიმართულებით, იმერეთის რეგიონში, ვანის მუნიციპალიტეტში არსებულ მეფუტკრეობის კოოპერატივში, დაახლოებით, 60-მდე მეპაიეა გაერთიანებული. მეორე დონის კოოპერატივები საქმიანობენ ლეჩხუმში — მელვინეობის მიმართულებით, ქვემო ქართლში — მეცხოველეობის მიმართულებით და სამცხე-ჯავახეთში — მეკარტოფილეობის მიმართულებით. აქვე იმასაც გეტყვით, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ე.წ. მეორე დონის კოოპერატივებს, რომელთა დამფუძნებლები, ძირითადად, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი კოოპერატივები არიან. მათი გაერთიანების საფუძველი უფრო მაღალი დონის სანარმო პროცესზე გადასვლა და ერთიანი სანარმოო ციკლია (პირველად პროდუქციის გადამამუშავება, შეფუთვა, შენახვა, რეალიზაცია), სადაც ყოველ სამეურნეო საფეხურზე შემოსავლები იზრდება, სოლო მეპაიე კოოპერატივების წევრები, მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს საბოლოო პროდუქციის რეალიზებიდან მიიღებენ. მეორე დონის კოოპერატივების წევრებს, ირიბად, მისი დამფუძნებელი კოოპერატივების წევრები წარმოადგენენ და შესაბამისად, მათი რაოდენობაც დიდია. ეს კი ინვესტს სანარმოო პროცესთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირებას, მასშტაბური მოცულობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნას, ახალ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და სხვა.

— არც ისე დიდი ხნის წინ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. რას ნიშნავს ეს პროგრამა და რა კონკრეტული ღონისძიებები იგეგმება ამ მიმართულებით?

— სასოფლოს სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერების პროგრამა ორწლიანი პროექტია, რომელსაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირი აფინანსებს. პროექტის ხანგრძლივობა ორი წელია, რომლის ფარგლებში იგეგმება, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კადრების გადამზადება, ასევე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ლიდერებისა და მენეჯმენტის გადამზადება, ასევე მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

— დასრულდა თუ არა მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია? კონკრეტულად რას ისახავს მიზნად ეს პროგრამა?

— მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

ნეობის კიდევ რომელი დარგის ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს კოოპერატივებისთვის?

— ჩვენი სააგენტო მაქსიმალურად ცდილობს, მრავალმხრივ შეუწყოს ხელი კოოპერატივების განვითარებას. ტარდება ტრენინგები კოოპერატივების წევრებისათვის, იმართება გამოფენა-გაყიდვები, გვაქვს შეხვედრები მოსახლეობასთან. რაც შეეხება სანარმოო პროგრამებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო პროგრამის — „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ხელშეწყობის გზით“ ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, აშენდა თხილის სანარმო, რომელიც საშრობსა და სასანყობო მეურნეობას მოიცავს. ეს სანარმო შესაბამისი ტექნიკა-დანადგარებითაა აღჭურვილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია, როგორც 24 ტონა ნაჭუჭიანი თხილის გაშრობა, ასევე ერთიანად, 500 ტონა ნაჭუჭიანი თხილის დასანყობება. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული სანარმო, პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „დარჩელის თხილს“ გადაეცეს, რომელშიც 593 მეპაიეა გაერთიანებული. პროგრამით დადგენილი პირობების შესრულების შემთხვევაში, კოოპერატივს უფლება აქვს, მოითხოვოს სანარმო ინფრასტრუქტურის პირდაპირი მფლობელობის წესით მისთვის გადაცემა. ეს პროგრამა ხელს უწყობს თხილის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნას, თხილის თვითღირებულების შემცირებასა და თხილის საექსპორტო პოტენციალის ზრდას. აღსანიშნავია, რომ კოოპერატივ „დარჩელის თხილს“, სახელმწიფო პროგრამა იმის საშუალებას აძლევს, რომ განვითარების მიზნით, სრული სანარმოო ციკლი შექმნას და სანარმოს ფარგლებში, არა მხოლოდ საშრობი და სასანყობი, არამედ თხილის სატეხი დანადგარი, დამხარისხებელი, დამფასოებელი ჰქონდეს, რაც თავისთავად, ამ კოოპერატივს მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირეგაბარიტული აგროტექნიკით აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე 504-მა კოოპერატივმა, 1 311 აგროკომპლექტი და დამატებით, 194 ხელის სათესი მიიღო. ეს პროგრამა ითვალისწინებს მცირეგაბარიტული აგროტექნიკის (თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგროვატი, სათიბი, გუთანი, კულტივატორი და ხელის სათესი) შეღავათიან ფასად, 900 ლარად გადაცემას კოოპერატივებისათვის; დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო, თუ გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს, თითო კომპლექტის შესყიდვისას, დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი — 1 ლარად.

გარდა ამისა, ჩატარდა საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, რაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ტრენინგი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის, 30-მდე მუნიციპალიტეტში ჩატარდა და მასში მონაწილეობა კოოპერატივების 400-მდე წარმომადგენელმა მიიღო. ტრენინგის თემები მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებიდან წარმოქმნილი გადასახადების, მათი გაანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესებს; საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს; პირვე-

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ტექნიკური დახმარებით, ცხრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, უშუალოდ მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 150 ტონა კლასის კარტოფილის თესლის იმპორტი განახორციელა.

კოოპერატივების სახელმწიფო მხარდაჭერად ითვლება მათი მონაწილეობა, სხვადასხვა დროს გამართულ გამოფენა-გაყიდვებში. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რუსთაველის გამზირზე გამართულ გამოფენაზე 10-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მონაწილეობდა; 18-20 ნომბერს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთვით ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა ჩატარდა. პავილიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. 40-მდე კოოპერატივმა (საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან), საკუთარ პროდუქტს — თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწვანილი, ბოსტნეული, ხილი წარმოადგინეს.

— მოიცავს თუ არა სოფლის მეურნეობის ყველა დარგს საქართველოს მასშტაბით შექმნილი კოოპერატივები?

— კოოპერატივები სასოფლო-სამეურნეო დარგის თითქმის ყველა მიმართულებითაა შექმნილი.

— ცნობილია, რომ კოოპერატივების განვითარების სააგენტო მაქსიმალურად ხელს უწყობს ქალთა ჩართულობას კოოპერატივებში და მათი მონაწილეობით კოოპერატივი შეიქმნა. კიდევ რა სახეობაა ამ მხრივ?

— გაიმართა შეხვედრა „დიალოგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა როლის გაძლიერებისათვის“. ამ ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის აგარაულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერვალიძე, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ატაშე ხუან ეჩანოვე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლები. შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლად მცხოვრებ ქალთა გააქტიურებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ჩართულობით, ქალთა საინფორმაციო ცენტრის პროექტის — „ქალები, როგორც აქტიურები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, კოოპერატივების წარმომადგენლების უნარების გასაძლიერებლად, საზაფხულო ბანაკი — „კოოპერატივები და სათემო ცენტრები გაძლიერებული თემისთვის“ ჩატარდა, აღნიშნულ პროექტში, ქალთა 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია ჩართული.

სახელმწიფო პროგრამაში — „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მხარდაჭერის გზით“ მონაწილეობის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო, რომ განმცხადებელი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ან/და მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა 31%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები, ახალგაზრდები ან/და მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „დარჩელის თხილის“ მეპაიეთა 44% ქალები, ახალგაზრდები ან/და მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არიან.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

პროფესიები, რომელსაც სისხლს სწავლავს ბიომედიცინა

ცოტა ხნის წინ რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელმა სწავლულთა ჯგუფმა განაცხადა, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გაარკვევს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ადამიანს სიცოცხლეს უშოკლებს. აღმოჩნდა, რომ არსებობს პროფესიები, რაც მანვე ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე და ზოგადად, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ამ დასკვნების გასაკეთებლად სწავლულებს 17-წლიანი დაკვირვება დასჭირდათ დაახლოებით 140 ათას მოხალისეზე. ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სწორედ სტრესს სამსახურში შეუძლია გაზრდოს ინსულტის რისკი როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში 22-25%-ით. საოცარია, მაგრამ ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე მცირე საშუალო სტრესის მქონედ დასახელდა მეფოვისა და მადაროელის პროფესიები. საშიში საქმიანობის სიაში კი ჩანდნენ ინჟინრები, ოფისის კლერკები, მასწავლებლები, მომსახურე პერსონალი და კომპიუტერები. მკვლევართა თქმით, სტრესი არა მხოლოდ ნეგატიურად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, არამედ ადამიანს ცხოვრების არასწორი ნებისკენ უბიძგებს. ყველაზე გავრცელებულ ცუდ ჩვევებში კი გამოყოფენ ჰიპოდინამიას, ხშირ მონევას და დაუბალანსებელ კვებას.



სუპერმარკეტის სახურავზე ბოსტანი გააშენეს



ბრაზილიის ქალქ სან-პაულოს უზარმაზარ სავაჭრო ცენტრში შესანიშნავი გამოყენება მოუხაზეს საკვები პროდუქტის ნარჩენებს. ცენტრის თანამშრომლები ყველა ორგანულ ნარჩენს აგროვებენ და მათ კომპოსტად აქცევენ, რომელსაც ბოსტნეულისა და მწვანე მწიფეების მოსაყვანად იყენებენ. ბოსტანი კი დაწესებულების შენობის სახურავზე აქვთ მოწყობილი. ერთი დღის განმავლობაში აქ 400 კილოგრამამდე ორგანული ნარჩენი გროვდება და ის კვლავ საქმეში მიდის. სიახლით მოგებული სავაჭრო ცენტრის თანამშრომლები რჩებიან.

ისინი შეთანხმებულად იყოფენ ბოსტანში საშუალოსა და იქ მოყვანილ, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულსა და მწვანეებს. თანამშრომლები აცალკევებენ ორგანულ ნარჩენებს არაორგანულისგან, წონიან და მერე ფერმენტებს ამატებენ, მანვე ბაქტერიებისგან და ტენიანობისგან რომ გაათავისუფლონ და ლპობის პროცესი დააჩქარონ. შედეგად მიღებული „შავი ოქრო“ ბოსტნის ნიადაგს ანოყიერებს და შესანიშნავ მოსავალს იძლევა — თანამშრომლებს სახურავზე მოჰყავთ ბადრიჯანი, ხახვი, წიწაკა, პომიდორი, რეპი და პიტნა. ნაწილს ცენტრის კაფეტერიაში იყენებენ, ძირითად მოსავალს კი თანამშრომლები ინანილებენ.

დედის რძეს კოსმეტიკაში იყენებენ

ერთ-ერთი ამერიკული სპა-ცენტრი კლიენტებს უჩვეულო პროცედურას სთავაზობს — სახის ნიღაბს დედის რძეს სასწაულებს ახდენს. ცნობილია, რომ დედის რძე ბავშვის იმუნიტეტს ამძლავებს, იცავს მას ინფექციებისგან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისგან, ასთმისგან, აქვს ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებები. კოსმეტოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ დედის რძე სასარგებლოა უფროსებისთვისაც. როგორც სპა-ცენტრის დამფუძნებელი აცხადებს, ბევრი დედა იყენებს საკუთარ რძეს კოსმეტიკური პრობლემების მოსაგვარებლად, ის ნამდვილი აღმოჩნდა პრობლემური კანისთვის. რძეში მალაიკონცენტრაციაა ცხიმებისა და საკვები ელემენტებისა. სპა-ცენტრი ამ მეტად სასარგებლო „ნივთიერებას“ იმ მეტყუარი დედებისგან ყიდულობს, ვინც სამედიცინო შემოწმება გაიარა და დარეგისტრირებულნი არიან დედის რძის ბანკში. ამჟამად „პრეპარატს“ აკნეს, ეგზემას, დამწვრობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ასევე, უბრალოდ, სახის გასაწმენდად იყენებენ.



წინა ნომერში გასული სკანდორღისა და სულოკუს პასუხები

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

4x4 grid puzzle with numbers 1-9.

- მე-12 გვერდი: 1. მელანქოლია; 2. კოლოსი; 3. მოლა; 4. ლიტანია; 5. ნეფერტიტი; 6. კავალერია; 7. ლევიათანი; 8. სეროვი; 9. ონინარი; 10. ონდატრა; 11. ფიტული; 12. ვივერა; 13. ხრიოკი; 14. იაგანი; 15. წუნი; 16. „რენო“; 17. სარა; 18. ლიხვი; 19. დასი; 20. ნოა; 21. თრია; 22. ია; 23. ატა; 24. კენტი; 25. ნოტა; 26. ტარიელი; 27. კირსტენ დანსტი; 28. ნიქოზია; 29. კისა; 30. ტაუერი; 31. სიჭინავა; 32. აილამა; 33. რუქა; 34. უპე; 35. სეპია; 36. ლუციფერი; 37. სოია; 38. იპრიტი; 39. იფი; 40. ვალცეტი; 41. ბურჭულაძე; 42. სატი; 43. ლილი; 44. სერენადა; 45. ტუზი; 46. იასპი; 47. ალაფი; 48. იანკი; 49. ოკარინა; 50. გალილეა; 51. რური; 52. ელე; 53. მინორი; 54. გაცი; 55. ნუარე; 56. ნობილე; 57. რიაზანი; 58. უკულელი; 59. აფაკია; 60. დანტი; 61. დრიუ; 62. ავე; 63. ფმა; 64. ოინი; 65. დრეფი; 66. უგანდა; 67. შატლი; 68. ბანა; 69. კურარე; 70. ელი; 71. სტარი; 72. ადლი; 73. ესაკია; 74. ამალა; 75. ენა; 76. ფრე; 77. ლოტი; 78. მი; 79. დებლი; 80. ზვიადი; 81. ელიოზი; 82. თმა; 83. ლამა; 84. „იმედი“; 85. აბო.

ყველაზე „მოღალატე“ ქვეყნები გამოავლინეს



პრეზერვატივების მწარმოებელმა კომპანია Durex-მა ყველაზე მოღალატე ერების რეიტინგი შეადგინა. გამოკვლევა Sexual Wellbeing Global Survey, არა მხოლოდ ღალატის თემას ეხებოდა, არამედ მთლიანობაში, სექსსა და ჯანმრთელობას. სიის ლიდერი ტაილანდი აღმოჩნდა. ამ ქვეყნის მცხოვრებთა 56% პარტნიორს ღალატობს. კვლევაში აღნიშნულია, რომ ტაილანდში ბევრ წყვილს „უნესრიგო“ სექსობრივი კავშირი აქვს. კომპანიის გამოკითხვაში მონაწილეობა 26 ქვეყნის წარმომადგენელმა 26 ათასმა ადამიანმა მიიღო. ანუ ყოველ ქვეყანაში 1000 ადამიანი გამოიკითხა. ისიც გაირკვა, რომ საფრანგეთსა და გერმანიაში, ადამიანების უმრავლესობა ღალატს „ეგუება“ და არ განიხილავენ მას, როგორც ურთიერთობების განწყვეტის მიზეზს. ყველაზე „მოღალატე“ ქვეყნების ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: ტაილანდი (56%), დანია (46%), იტალია (45%), გერმანია (45%), საფრანგეთი (43%), ნორვეგია (41%), ბელგია (40%), ესპანეთი (39%), დიდი ბრიტანეთი (36%), ფინეთი (36%).

ვერსია logo and contact information: მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7. e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მითაპარი რედაქტორი: მაია ფურცელაძე (599) 62-88-77 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი მმართველი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე. სტილისტი - ნინო ებანოძე დიზაინერი - გიორგი ლომსაძე ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებით, ნაციონალური ბრენდების დაჯილდოების ცერემონია „ქართული ბრენდის დღე 2015“ სასტუმროში Hotels & Preference Hualing Tbilisi ჩატარდა. რიგით მე-13 ღონისძიების გამარჯვებული კომპანიები შემდეგ ძირითად ნომინაციებში გამოვლინდნენ: ლიდერი, რეპუტაცია და ნდობა, წარმატებული ახალი ქართული ბრენდი, ბრენდპერსონა, წარმატებული ტელეპროექტი. „ქართული ბრენდის დღის“ დამფუძნებელი მანანა გეგიძე აცხადებს, რომ პროექტის მიზანმა გაამართლა: „ქართული ბრენდის დღე“ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ სინამდვილეში. პროექტმა შეძლო, წარმოეჩინა არაერთი ქართული ბრენდი განვითარების ყველა ეტაპზე“. 13-წლიანი ისტორიის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში 500-მდე ქართული ბრენდი დაჯილდოვდა. ნომინაციებში ბრენდების წარდგენა-გამარჯვებას, წარმდგენი მეთვინი კვლევა უძღვის.

„ალბიუსი“ — ახალი ქართული ბრენდი და ახალი ხელვა სპონსორული

სწორედ ამ კვლევის საფუძველზე მიენიჭა სტომატოლოგიურ ცენტრს „ალბიუსი“ „ახალი ქართული ბრენდი“ ტიტული და შესაბამისად — აღიარება. კლინიკის დამფუძნებელი და კლინიკური დირექტორი, საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სადოქტორო პროგრამათა ხელმძღვანელი, სტომატოლოგიური ჟურნალის GSA news მთავარი რედაქტორი, 104 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან გოგილაშვილია. ლიდერის პოზიციას ბავშვობიდანვე არასდროს თმობდა და ეს ცხოვრების კრედიტ იქცა. ამ ფონზე, მოსალოდნელიც იყო, რომ მისი კლინიკა, ლიდერობას, ქართული ბრენდის დღეზეც არავის დაუთმობდა. მრავალფუნქციური ორგანიზაცია „ალბიუსი“ დამოუკიდებლად, საკუთარი ენერჯის, ტიტანური შრომისა და პროფესიონალიზმზე დაყრდნობით დააარსა. წარმატების საწინდარი კი, მაღალტექნოლოგიური, გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კადრებია. სასიამოვნო გარემო პაციენტებს კომფორტს უქმნის.



„ალბიუსი“ აერთიანებს სამკურნალო, საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრებს. ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კლინიკა და სასწავლო აკადემია. მკურნალობა ხდება უახლესი მეთოდებითა და პრეპარატებით, ცენტრში განთავსებულია დეკონტამინაციის გამჭვირვალე ოთახი, რომელიც ინსტრუმენტების დეზინფექცია-სტერილიზაციის დაკვირვების საშუალებას იძლევა. მომსახურების სპექტრია: თერაპიული სტომატოლოგია, პაროდონტოლოგია, პედაგოგიური სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, იმპლანტოლოგია, პირის ღრუს ქირურგია,

„ქართული ბრენდის დღე“ უკვე მეცამეტედ აღინიშნა



ორთოდონტია, ყბა-სახის ქირურგია. თითოეული სტომატოლოგი ჩართულია ევროპისა და ამერიკის უწყვეტი განათლების პროგრამებში, რაც განაპირობებს პაციენტების მიმართ ინდივიდუალურ მზრუნველობას, მაღალი ხარისხის მომსახურებას.

სრულფასოვანი, ხარისხიანი, საზოგადოებისათვის სანდო და საჭირო სტომატოლოგიური ცენტრის დაფუძნება, სადაც მიიღებთ უსაფრთხო, უმეტესწილად მკურნალობას, მხოლოდ დარგის მაღალი დონის სპეციალისტის ხვედრია. ეს ურთულესი და საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ ქეთევან გოგილაშვილი მზად არის ახალი გამოწვევებისთვის და რაც მთავარია, იცის, რას აკეთებს, უყვარს თავის საქმე და დარწმუნებულია, რომ მისი განათლებითა და პროფესიონალიზმის ხარისხი, საზოგადოების სანდოების გარანტია. ცენტრში ყველა პირობაა შექმნილი პაციენტისათვის, ჩაიტაროს მაღალი, ევროპული დონის სტომატოლოგიური მკურნალობა. ეს ნამდვილად ახალი ხედვაა სტომატოლოგიაში.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი — „რეპუტაცია და ნდობა“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა „ქართული ბრენდის დღეზე“ გაიმარჯვა ნომინაციაში „რეპუტაცია და ნდობა“. იმ ფონზე, რასაც სწავლასმონყურებულ სტუდენტებს ეს სასწავლებელი სთავაზობს, ეს გასაკვირი არც არის. უნივერსიტეტის დამფუძნებლისა და კანცლერის, ვახტანგ ნივნივაძის მტკიცებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ორიენტირებულია, სტუდენტებს უმაღლესი ხარისხის განათლება მისცეს. „ტრადიციულ და ზნეობრივ ფასეულობებს და ცვა სჭირდება. ეს ქვეყნის განვითარებისა და ნინსვის გარანტია. ჩემი, როგორც კანცლერის მისიაა, სასწავლებელი, რომელიც ჩამოყალიბდა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საგანმანათლებლო კერად, იქცეს აკადემიური წარმატებისა და ტრადიციული ღირებულებების სინონიმად. განათლება, დაფუძნებული ეროვნულსა და ზნეობრივ ფასეულობებზე, ის პრიორიტეტია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნისა და თითოეული მოქალაქისთვის უფლებების ხარისხსა და შინაგან ღირებულებებს“, — აცხადებს ვახტანგ ნივნივაძე. სწორედ მისი მიმდებელი სულის, უმრეტე ენერჯის, საქმის სიყვარულის, მოტივაციის, ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული იდეის განხორციელებამ მისცა საზოგადოებას იმ დონის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 3000-ზე მეტი სტუდენტი ცოდნას ეუფლება. უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა 5 ძლიერი, მაღალპროფესიული კადრებით დაკომპლექტებული და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებით აღჭურვილი ფაკულტეტი: ბიზნესის, სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა, მედიცინისა, მევენახეობა-მეღვინეობისა და აგროტექნოლოგიის. დღეს სასწავლებელი ახორციელებს 11 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას: ფინანსები (ქართულ და რუსულენოვან), მენეჯმენტი, ტურიზმი, სამართალმცოდნეობა, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ფარმაცია (ქართულ და ინგლისურენოვან), მედიცინა (ქართულ და ინ-

გლისურენოვან), სტომატოლოგია (ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან), სამართალი და ბიზნესადმინისტრირება... უახლოეს მომავალში მათ ჩამონათვალს მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაც დაემატება.

უნივერსიტეტის მისიაა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დო-



ნეზე: გაატაროს თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა; შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული საუკეთესო სასწავლო და კვლევითი გარემო; მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. უნივერსიტეტი გამოირჩევა კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიებით, საკონფერენციო და საჯარო ლექციების დარბაზებით, მდიდარი ნივნადი და ელექტრონული ბიბლიოთეკით.

არ შეიძლება, არ გამოვყოთ ვახტანგ ნივნივაძის უდიდესი წვლილი უნივერსიტეტის ჩამოყალიბების, განვითარებისა და საინტერესო გარემოს შექმნის ურთულეს საქმეში. ეს ის ბერკეტია, რომლის გარეშე, ალბათ არაფერი იქნებოდა. თავად კი, გუნდზე საუბრობს და უნივერსიტეტის წარმატების საიდუმლოსაც, ფარდას ამკვარად ხდის: „ჩემთან საუკეთესო პედაგოგები მოღვაწეობენ. მათი მოსმენაც კი, წინადადებული ნაბიჯია. ისინი ორიენტირებული არიან სტუდენტის განათლების ხარისხზე“.

მშენებლობა — ნარმატივისა და კომფორტის სანიდარი

სამშენებლო კომპანია „დაგი“ ასევე გახლავთ გამარჯვებული ნომინაციაში — „რეპუტაცია და ნდობა“. „ქართული ბრენდის დღეს“, ჯილდოს გადაცემით, დაგის დამფუძნებელი გოგი გულორდავა, ალბათ კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მართალია, როცა საკუთარ თავზე საუბარს გაუბრუნებს და ამბობს — „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს“. არქიტექტურა და მშენებლობა ქვაში გაყინული მუსიკააო,



ამბობენ. სწორედ ეს მუსიკაა ბატონი გოგის ცხოვრების მთავარი მასტიმულირებელი. სამშენებლო ბიზნესში 1989 წლიდან ჩაერთო. კომპანია „დაგი“ კი, 2003 წელს დააფუძნა და არც თუ დიდ დროში, მოახერხა, მისი რეპუტაციითა და სანდოობით იამაყოს. კომპანიამ, წლების განმავლობაში მრავალი, მნიშვნელოვანი შეკვეთა განახორციელა. დამკვეთების ნდობა კი, ხარისხიანად შენების, ოპერატიულობისა და ინოვაციური მიდგომების გამო დამსახურა. დღეს, „დაგი“ რეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს „თეთრ სიაში“, ფლობს ISO 9001:2008 და OHSAS 18001:2007 სერტიფიკატებს.

შთამბეჭდავი კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი: სათაფლიის ნაკრძალის სრული მშენებლობა, მესტიის რეაბილიტაცია, ქუთაისის ოპერის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მექანიზაციის სერვისცენტრების მშენებლობა საქართველოს 8 რაიონში, დინამოს ბაზა, ანაკლიის პირველი სასტუმროს მშენებლობა, ნყალტუბოს პარკის რეაბილიტაცია, ზუგდიდში დევნილებისათვის 10 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, 2015 წლის ოლიმპიადისათვის კორტების მშენებლობა, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დინამო არენას რეაბილიტაცია, ღვინის ქარხნები გურჯაანსა და შილდაში, პოლიციის ადმინისტრაციული შენობები, სტადიონები, სკოლები, საბავშვო ბაღები...

კომპანია სამშენებლო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ხარისხის კონტროლის სრული დაცვით ახორციელებს, რასაც მისი მრავალწლიანი გამოცდილება, კვალიფიცირებული ინჟინრებისა და არქიტექტორებისაგან შემდგარი ჯგუფი განაპირობებს. მთავარი პრიორიტეტი მომხმარებელთა ნდობა, მათი ინტერესების გათვალისწინება და მაქსიმალური კომფორტის შექმნაა. სამშენებლო, სარემონტო და საპროექტო სამუშაოების შესრულება უახლესი, თანამედროვე მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება. გოგი გულორდავას აზრით, ინოვაცია და ცვლილება, წარმატების ერთ-ერთი საფუძველი და ბიზნესმენისთვის, ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია: „დიდი და პატარა საქმე არ არსებობს. მთავარია, შენი საქმე მონდომებით და ხარისხიანად აკეთო. ჩვენ, ყველა ერთად — ვაშენებთ, ჩვენი შვილებისათვის! ეს კი ყველაზე საპასუხისმგებლო, სინდისის საქმეა. „დაგი“ პროფესიონალთა გუნდია, რომელსაც აქვს მყარი მოტივაცია, აშენოს დროულად, ხარისხიანად და კომფორტულად. შედეგს დრო გამოცდის. ეს ყველაზე დიდი ადრენალინია, რომელიც სიახლეებისკენ გიბიძგებს. კაცობრიობის ისტორია მუდმივი სწრაფვაა თავისუფლების შეგრძნებისკენ. საქმის სიყვარული და ერთგულება, განათლება და პროფესიონალიზმი, მიღწეული შედეგი და სწორი სტრატეგიული აზროვნება — ეს უკვე თავისუფლებაა. როცა ამ უკანასკნელს გრძნობ, ცდილობ, მუდმივი ინოვაციის გზით, მატერიალური სარგებლის მოუტანო საზოგადოებას. ბიზნესისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი ნდობა და ცვლილებებისათვის მზადყოფნაა“.